ქართული ენა და ლიტერატურა

XI

XIX საუკუნის მწერლობა

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

ავტორები: მარინე ხუციშვილი
ნინო ნაკუდაშვილი

სხივები

თბილისი – 2023

ქართული ენა და ლიტერატურა
XI კლასის მასწავლებლის წიგნი

ავტორ-შემდგენლები: მარინე ხუციშვილი
ნინო ნაკუდაშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

© შპს „საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, 2023 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39
ტელ.: 2 36 91 85
www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9813-3-3

M. Khucishvili, N. Nakudashvili
GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE 11
Teacher’s book
First Edition, 2023
Published by STSAVLANI Publishing

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი 4

2. ქართული ენა და ლიტერატურა. საშუალო საფეხურის სტანდარტი 5

3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალებები) 16

4. მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები 127

შესავალი

XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

XI კლასის სახელმძღვანელო სწავლების ზედა საფეხურის (X-XII კლასების) მეორე სახელმძღვანელოა, რომლითაც ლიტერატურის სწავლების ახალი ეტაპი, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის სწავლება იწყება. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით, X კლასში განსაზღვრულია ძველი, XI კლასში – ახალი და XII კლასში უახლესი ქართული ლიტერატურის შესწავლა.

ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლის დასაწყებად ნიადაგი საბაზო სკოლის სასწავლო გეგმამ და სახელმძღვანელოებმა შეამზადეს კითხვის მიზანმიმართული ხერხების, ე. წ. სტრატეგიებისა, და ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტების შესწავლით. საბაზო სკოლაში მოსწავლეები ეცნობოდნენ ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ტექსტების ფრაგმენტებს და მათი კითხვის სტრატეგიებს (ტექსტის პერიფრაზირება, სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით, ნაწარმოების კითხვა ლიტერატურულ და ისტორიულ კონტექსტზე დაყრდნობით და სხვ.).

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლიტერატურული მასალა დაყოფილია თავებად მთავარი თემის, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, და ქვეთემების მიხედვით. თითოეული თავის სტრუქტურა მკვეთრად არის განსაზღვრული სწავლების მეთოდიკაზე დაყრდნობით. გამოყოფილია ტექსტის წაკითხვამდე, ტექსტის კითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდგომი აქტივობები. ტექსტის წაკითხვამდე აქტივობები: არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირება, ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტები და კითხვის სტრატეგია – კითხვის პროცესის მოდელირების საშუალებას აძლევს მასწავლებელს. კითხვის შემდგომი აქტივობები კი მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების პროცესს გაუადვილებს.

ენის საკითხები მოცემულია ტექსტზე დართული სავარჯიშოების რუბრიკაში: „ტექსტის ენა“. საბაზო საფეხურიდან მოსწავლეები შეჩვეულნი არიან ტექსტებიდან გამოკრებილ ენობრივ ფორმებზე დაკვირვებას, თანაც პრაქტიკული გრამატიკის სისტემური კურსი მათ უკვე გავლილი აქვთ. ამიტომ ძირითადი ცნებები და საკითხები მათთვის ნაცნობია. XIX საუკუნის ქართული ენის გრამატიკული თავისებურებების გაცნობა, ერთი მხრივ, ამ საუკუნის ტექსტების უკეთ გაგებაში ეხმარება მათ, მეორე მხრივ კი, თანამედროვე ქართულის გრამატიკის შესწავლის დროს ათვისებული ცოდნის განმტკიცებაში.

ქართული ენა და ლიტერატურა
საშუალო საფეხურის სტანდარტი

ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო კურსი საშუალო საფეხურზე გულისხმობს ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლებას.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები**.

სტანდარტის **შინაარსი** აღიწერება ქვეცნებებისა და თემების სახით.

ეროვნული სასწავლო გეგმა საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ სავალდებულოდ განსაზღვრავს თემებს, ხოლო მათ შესასწავლად საჭირო ქვეცნებებსა თუ საკითხებს სკოლები თავად ირჩევენ.

თემებს ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**. ისინი მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. თითოეულ კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებასთანაა ის დაკავშირებული.

საფეხურის შედეგები:

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საშ. 1**.

„ქართ.“ – აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.საშ.1	ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის.	**ჟანრი** (ქართ.საშ.1,4,6,7)
ქართ.საშ.2	ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციო-ისტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება, როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში.	**კომპოზიცია** (ქართ.საშ.1,3,4,6,7)

ქართ.საშ.3	საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით.	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ქართ.საშ.4,6,7)
ქართ.საშ.4	ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/ უნიკალურობის გამოსაკვეთად.	კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)
ქართ.საშ.5	ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების /მიდგომების ჭრილში შესაფასებლად.	
ქართ. საშ.6	სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად).	
ქართ.საშ.7	ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას).	

სავალდებულო თემები

სავალდებულო (საბაზისო) კურსი მოსწავლეებს სთავაზობს ლიტერატურის შესწავლას ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ გზით მოსწავლეები შეიქმნიან წარმოდგენას ქართული ლიტერატურის ძირითად პერიოდებზე და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. კერძოდ, მოსწავლეები ლიტერატურულ ნაწარმოებებს გააანალიზებენ მათი შექმნის თანადროული ეპოქის კონტექსტში, ეპოქისა, რომელიც განსაზღვრავდა ძირითად პრობლემატიკას, მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, მორალურ-ეთიკურ თუ ესთეტიკურ ორიენტირებს. მხატვრული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ ქართველი მწერლების პუბლიცისტური თხზულებები და

ესეები, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკა, იდეები, ესთეტიკური შეხედულებები.

V- XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა
XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა
XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა

თითოეული სასწავლო თემა ისწავლება ქვეთემების მეშვეობით, რომლებიც განისაზღვრება ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით (მაგ., ცხოვრების საზრისის ძიება, ადამიანი საზოგადოების პირისპირ, სიყვარული, ადამიანის კონფლიქტი ბუნებასთან და მისთ.).

საკითხავი ლიტერატურა

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს.

სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი

1. იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“;
2. იოანე საბანისძე – „აბოს წამება“ (I-III თავები);
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მითითებული სახით. იხ. დანართი);

   სულ მცირე ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება.

4. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“;
5. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი;
6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „ქართლის ჭირი“ (ისტორიული ნარატივი);
7. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“;
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“;
9. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი?!“;
10. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“;
11. ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“;
12. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
13. ტიციან ტაბიძე – „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“;
14. მიხეილ ჯავახიშვილი – სულ მცირე ერთი მოთხრობა;
15. ნ. ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
16. ლეო ქიაჩელი – „ჰაკი აძბა“;

17. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
18. გიორგი ლეონიძე – „ყივჩაღის პაემანი“;
19. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
20. გურამ რჩეულიშვილი – სულ მცირე ერთი თხზულება;
21. ჯემალ ქარჩხაძე – სულ მცირე ერთი თხზულება;
22. ოთარ ჭილაძე – სულ მცირე ერთი თხზულება;
23. გურამ დოჩანაშვილი – სულ მცირე ერთი თხზულება.

სწავლა-სწავლების პროცესში სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და ქვეცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით).

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

ჟანრი

<u>მხატვრული ნაწარმოებები:</u> ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, რომანი, ეპოსი, დრამატურგიული ნაწარმოებები (კომედია, დრამა, ტრაგედია), ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა (მაგ., იგავ-არაკი), <u>არამხატვრული ნაწარმოებები:</u> ბიოგრაფიული ტექსტები, მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო (სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია); საგაზეთო სტატია, სხვადასხვა პერიოდის პუბლიცისტიკა; სხვადასხვა სახის ესე, რეფერატი.

კომპოზიცია

<u>შინაარსობრივი მხარე:</u>

თემა, დედააზრი/მთავარი იდეა, მთავარი/ძირითადი საკითხი; ქვეტექსტური ინფორმაცია;

ავტორი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის);

მონოლოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი; მონოლოგის სახეები;

დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქციები;

პეიზაჟი, ინტერიერი და მათი ფუნქციები; განწყობა;

ავტორისეული ჩანართები; ლირიკული გადახვევა;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი, ეპიგრაფი);

წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური);

მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურები (პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძის

შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი);

სტრუქტურა-ორგანიზება: ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, ეპიგრაფი, პარაგრაფი, თავი, ქვეთავი); რითმა, მეტრი;

სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ყალიბები (მაგ., შედარება-შეპირისპირება, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, ახსნა-განმარტებითობა, პრობლემა და მისი გადაწყვეტა).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები

ფუნქციური სტილი – სასაუბრო, მწიგნობრული; სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული;

ენობრივი ფიგურები – ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ევფონია), სემანტიკური ფიგურები (მაგ., იდიომები, ევფემიზმი); სტილისტური ფიგურები (ელიფსისი, გამეორება, ანაფორა);

ინტერტექსტუალური მიმართებები და მათი გამოხატვის საშუალებები – ალუზია, ციტატა.

ენობრივ-გრამატიკული ფორმები – დროით-სივრცული და ლოგიკური მიმართებების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტებში; ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები – ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა, სიმბოლო და სხვ.;

ლექსიკისა და სტილის საკითხები – არქაიზმი; სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები; ტავტოლოგია; კალკი, ატროფია; პარონიმები; ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი; კლიშე.

რიტორიკის ელემენტები – თეზისი, არგუმენტი, კონტრარგუმენტი, რიტორიკული ხერხები (მაგ., რიტორიკული შეკითხვა); რიტორიკული სტილის მახასიათებლები.

საკომუნიკაციო სიტუაცია – თემა, მიზანი, აუდიტორია, კომუნიკაციის სახეები, არხები, ფორმები; სოციოკულტურული გარემო.

კონტექსტი

ისტორიული და სოციოკულტურული – ქართული ლიტერატურის პერიოდები; თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, დამოკიდებულებები, შეხედულებები განათლებაზე/სწავლა-აღზრდაზე; მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობები.

ბიოგრაფიული კონტექსტი – მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო, განათლება, სულიერი გამოცდილება; კულტურათა დიალოგი.

თემა: V- XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა

თემის ფარგლებში განიხილება:

V-X საუკუნეები (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის სასწავლო წლის პირველ სემესტრში)

სასულიერო მწერლობა; ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ქვეჟანრები; ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ინტერტექსტუალურობა; ჰაგიოგრაფიული გმირი/პერსონაჟი (გმირის იდეალი); სულიერი ავტორიტეტი; სულიერების, სიწმინდის/წმინდანობის გაგება; დამოკიდებულება ღმერთთან (/„მიბაძვა„), ხსნის გზის ძიება; ჰაგიოგრაფიული თხზულება, როგორც ისტორიული წყარო.

XII-XVIII საუკუნეები (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის მეორე სემესტრში)

აზროვნების სეკულარიზაცია და ქართული საერო მწერლობა; ახალი ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა); ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალი (რენესანსული იდეალები – ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანი); ინტერტექსტუალურობა; თვითშემეცნების გზების ძიება; დამოკიდებულება სამყაროსთან, ცოდნასთან.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

ჟანრი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

კომპოზიცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის, მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

კონტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეული გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დროსივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა

თემის ფარგლებში განიხილება:

<u>რომანტიზმი</u> – რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, მთავარი მოტივები (მაგ., სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, გაიდეალება წარსულის, სიყვარულის, ბუნების), ჟანრები; რომანტიკული გმირი/პერსონაჟი და მისი ტრაგიზმი; კონფლიქტი/გაუცხოება საზოგადოებასთან, რომანტიკული მსოფლაღქმა: ფოკუსირება ინდივიდზე/ინდივიდუალურზე, ემოციებზე, სუბიექტურზე; ორი სამყაროს (ცნობიერისა და იდეალურის/ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი.

<u>რეალიზმი</u> – რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, სახასიათო ჟანრები; რეალისტური ნაწარმოებების პერსონაჟი, ტიპობრივი პერსონაჟი; კომპლექსური ურთიერთობები რეალისტური კონცეფციის გმირებს/პერსონაჟებსა და საზოგადოებას შორის;

თერგდალეულთა მოძრაობა.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

ჟანრი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

კომპოზიცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების, ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის, მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

კონტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეული გამოცდილების) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დროსივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

თემა: XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა

თემის ფარგლებში განიხილება:

მოდერნიზმი – ახალი ფორმების, ახალი პოეტური ტექნიკების ძიება; მოდერნისტული ნაწარმოებების გმირი/პერსონაჟი; ორი სამყაროს (ცნობადისა და ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი; ფოკუსირება ინდივიდზე, მის შინაგან სამყაროზე (/არაცნობიერზე); ასოციაციურობა (ასოციაციური თხრობა, ცნობიერების ნაკადი); სამყარო/საზოგადოება, როგორც გამოწვევა ინდივიდის მთლიანობისთვის; ცისფერყანწელთა ორდენი.

პოსტმოდერნიზმი – პოსტმოდერნიზმის მახასიათებლები: მაგ.: თამაში, ფრაგმენტულობა, პირობითობა, ირონია; სუბიექტური მთხრობელი, თვითრეფლექსია; ინტერტექსტუალურობა; პოსტმოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ეკლექტური ბუნება.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით

ჟანრი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

კომპოზიცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების, ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის, მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

კონტექსტი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დროსივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

(თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალებები)

სახელმძღვანელო: ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი
სასწავლო თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა **ქვეთემები:** 1. **იდეალისაკენ სწრაფვა** (სახელმძღვანელოს I თავი: რომანტიზმი – საუკუნის სავიზიტო ბარათი); 2. **ილუზიების მსხვრევა** (სახელმძღვანელოს II თავი: ქართული თეატრის დაარსება); 3. **მომავლის შენება** (სახელმძღვანელოს III თავი: ახალი თაობა); 4. **ზნეობრივი არჩევანი** (სახელმძღვანელოს IV თავი: ფესვებთან დაბრუნება).
თემატური მკვიდრი წარმოდგენები: 1. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ლიტერატურულ მიმდინარეობა რომანტიზმს, რომლის ძირითადი მოტივებია სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, წარსულის, სიყვარულის, ბუნების გაიდეალება. 2. რომანტიკული ლიტერატურა ფოკუსირებულია სუბიექტურაზე, ინდივიდზე, მის განცდებსა და ემოციებზე, ამიტომაც რომანტიკული გმირის სახე ხშირად გამოირჩევა მეამბოხური სულისკვეთებით და ტრაგიკულია: ის მარტოსულად, ეულად გრძნობს თავს, გაუცხოებულია საზოგადოებისგან და მიისწრაფვის იქითკენ, რომ შეიმეცნოს ხილული სამყაროს მიღმა არსებულ, იდეალური სამყარო; გააცნობიეროს ადამიანის სულის იდუმალი, ინტუიტური, არაცნობიერი მხარე. 3. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ადგილს იკავებს რეალიზმი, რომლის საქართველოში დამკვიდრება უკავშირდება ე.წ. „თერგდალეულთა“ მოძრაობას. 4. რეალისტური ლიტერატურის მიზანია სამყაროს შეულამაზებლად, რეალისტურად ასახვა ტიპობრივი მახასიათებლების წარმოჩენით, ხშირად კრიტიკული მიდგომით; 5. რეალისტური ლიტერატურის გმირი ტიპობრივი პერსონაჟია, რომელიც კარგად ნაცნობია მკითხველისთვის, ყურადღება გამახვილებულია ამ პერსონაჟის სოციალურ გარემოზე, ზოგადად, სოციალურ ფონზე, ურთიერთობებზე (ხშირად წინააღმდეგობრივზე) გმირსა და საზოგადოებას შორის.

I ქვეთემა

ქვეთემა: იდეალისაკენ სწრაფვა
(სახელმძღვანელოს I თავი: რომანტიზმი — საუკუნის სავიზიტო ბარათი)

საათების სავარაუდო რაოდენობა: დაახ. 32 აკად. საათი

ქვეთემაში გამოყენებული ტექსტები:

1. **ალექსანდრე ჭავჭავაძე** — „ვისაც გსურთ“, „ვაჭ, დრონი, დრონი“, „გოგჩა“;
2. **გრიგოლ ორბელიანი** — „იარალის“, თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „მუხამბაზი“;
3. **ნიკოლოზ ბარათაშვილი** — „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „მერანი“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ჩემი ლოცვა“, „ვპოვე ტაძარი“, „რად ჰყვედრი კაცსა“.

	საკითხები			
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ზეპირი პრეზენტაციის მომზადება ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით თემაზე: „სამშობლოს სატკივარი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირდაპირ და შეფარვით“.	**საკითხი 2.** გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“— დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“.	**საკითხი 3.** ზეპირი პრეზენტაციის მომზადება თემაზე: „იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით.	**საკითხი 4.** ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი“.
ჟანრი ქვეცნება: არამხატვრული, მხატვრული	**ქვესაკითხი:** ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით მომზადებულ ზეპირ პრეზენტაციაში ჟანრობრივი მახასიათებლები.		**ქვესაკითხი:** ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით მომზადებულ ზეპირ პრეზენტაციაში ჟანრობრივი მახასიათებლები.	
კომპოზიცია ქვეცნება:	**ქვესაკითხები:** ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით	**ქვესაკითხები:** გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და თამარ მეფის სახე ბეთანიის	**ქვესაკითხები:** ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და სახელმძღვანელოში	**ქვესაკითხები:** ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით დაწერილ

კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები **სტრუქტურა — ორგანიზება საორგანიზაციო ყალიბი**	მომზადებულ ზეპირ პრეზენტაციაში გაანალიზებულ თხზულებათა თემა, იდეა, რეფრენი, გამეორება, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის პრეზენტაციის სტრუქტურული ნაწილები — შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.	ეკლესიაში“— დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახულ თხზულებათა თემა, იდეა, ლირიკული გმირი, ავტორისეული პოზიცია; ესეს სტრუქტურული ნაწილები — შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.	მოცემულ მასალაზე დაყრდნობით მომზადებულ ზეპირ პრეზენტაციაში ასახულ თხზულებათა თემა, იდეა, ლირიკული გმირი, პეიზაჟი, მეტრი, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის პრეზენტაციის სტრუქტურული ნაწილები — შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.	ესეში ასახულ თხზულებათა თემა, იდეა, ლირიკული გმირი, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.
ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება: ლექსიკა, სტილი, რიტორიკის ელემენტები ინტერტექსტუა-ლური მიმარ-თებები.	**ქვესაკითხი:** ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ასახული მხატვრული ხერხები — ალეგორია, ეპითეტი; მოსწავლის პრეზენტაციაში თეზისი, არგუმენტი.	**ქვესაკითხი:** ესეში განხილულ ტექსტებში წარმოჩენილი ენობრივი საშუალებები — ეპითეტი, შედარება, სიმბოლო; ალუზია; თეზისი, არგუმენტი.	**ქვესაკითხები:** მოცემულ ტექსტებში ასახული მხატვრული ხერხები — ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, სიმბოლო; ალუზია; რიტორიკული მიმართვა; პრეზენტაციაში — თეზისი, არგუმენტი.	**ქვესაკითხი :** განხილულ ტექსტებში ასახული მხატვრული ხერხები — ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, სიმბოლო; ალუზია; რიტორიკული მიმართვა; მოსწავლის ესეში — თეზისი, არგუმენტი.
კონტექსტი ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურუ-ლი, ბიოგრაფიუ-ლი კონტექსტი.	**ქვესაკითხი:** მოსწავლის პრეზენტაციაში წარმოჩენილი ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი; ეპოქის ისტორიული ვითარება, ფასეულობები, მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, ლექსებში გამოხატული ემოციების აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში.	**ქვესაკითხი:** თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება, ისტორიული წარსულის რეალიები, ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი; ლექსში წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში.	**ქვესაკითხი:** ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი, ლექსში წამოჭრილი საკითხი თანამედროვეობის კონტექსტში.	**ქვესაკითხი:** ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი.
	კომპლექსური დავალება 1. *ზეპირი პრეზენტაციის მომზადება*	**კომპლექსური დავალება 2**. *ანალიტიკური ესეს დაწერა*	**კომპლექსური დავალება 3**. *ზეპირი პრეზენტაციის მომზადება*	**კომპლექსური დავალება 4**. *ანალიტიკური ესეს დაწერა*

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N1**
სამიზნე ცნება — **ჟანრი** (შედეგები: ქართ.საშ.1,4,6,7) **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება** — არამხატვრული, მხატვრული ტექსტები; კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; სტრუქტურა-ორგანიზება; ლექსიკა, სტილი, რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** ზეპირი პრეზენტაციის მომზადება ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით თემაზე: „სამშობლოს სატკივარი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირდაპირ და შეფარვით“ **ქვესაკითხი —** ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით მომზადებულ ზეპირ პრეზენტაციაში გაანალიზებულ თხზულებათა თემა, იდეა, რეფრენი, გამეორება, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის პრეზენტაციის სტრუქტურული ნაწილები — შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ასახული მხატვრული ხერხები — ალეგორია, ეპითეტი; ეპოქის ისტორიული ვითარება, ფასეულობები, მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი, ლექსებში გამოხატული ემოციის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ ავაგო ზეპირი პრეზენტაცია, რომელშიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით არგუმენტირებულად ვიმსჯელებ ბიოგრაფიასა და თხზულებებში ასახულ ეპოქაზე, მწერლის დამოკიდებულებაზე? როგორ წარმოვაჩინო თხზულებებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა? **კომპლექსური დავალება** — მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია — ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიასა და მის თხზულებებზე დაყრდნობით — თემაზე: „სამშობლოს სატკივარი ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირდაპირ და შეფარვით“. პრეზენტაციაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალური მასალა (მაგ., ფოტო, სქემა, ცხრილი).

	ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური ხანგრძლივობა-4-5 წუთი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების	☐ ზეპირი გამოსვლის სტრუქტურული ნაწილები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა **(ჟანრი, კომპოზიცია);** ☐ რა პოლიტიკური ვითარება იყო იმჟამინდელ საქართველოში და როგორ აისახა ეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე: რომელ ლექსებში გამოიხატა მისი დამოკიდებულება არსებული რეალობისადმი პირდაპირ და შეფარვით — ტექსტებიდან სათანადო ადგილების დამოწმებით **(კომპოზიცია,ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** ☐ მსჯელობა ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და მათი ფუნქციის შესახებ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით (მაგ., ეპითეტი, ალეგორია, გამეორება და სხვ.) **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** ☐ როგორ გადაიზრდება სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული სევდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში რომანტიზმისათვის დამახასიათებელ „მსოფლიო სევდაში“ — ტექსტიდან შესაბამისი ადგილის დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** ☐ რა ფუნქცია აქვს რეფრენს ლექსებში: „ვისაც გსურთ“ და „ვაჰ, დრონი, დრონი“ **(კომპოზიცია).** ☐ თქვენი დამოკიდებულება ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი, რამდენად გასაგები და მისაღებია მის ლექსებში გამოხატული ემოცია თქვენთვის **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კონტექსტი 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- გაიხსენეთ, რა არის ალეგორია?
- უმეტესად რომელი ჟანრის ნაწარმოებებში შეგხვედრიათ ეს ხერხი?
- რატომ იყენებენ მწერლები ალეგორიას თავიანთი სათქმელის გადმოსაცემად?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა პოლიტიკური ვითარება იყო იმჟამინდელ საქართველოში და როგორ აისახა ეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე: რომელ ლექსებში გამოიხატა მისი დამოკიდებულება არსებული რეალობისადმი პირდაპირ და შეფარვით — ტექსტებიდან სათანადო ადგილების დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** მსჯელობა ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და მათი ფუნქციის შესახებ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით (მაგ., ეპითეტი, ალეგორია, გამეორება და სხვ.) **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** როგორ გადაიზრდება სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული სევდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში რომანტიზმისათვის დამახასიათებელ „მსოფლიო სევდაში“— ტექსტიდან შესაბამისი ადგილის დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** რა ფუნქცია აქვს რეფრენს ლექსებში: ვისაც გსურთ“ და „ვაჰ, დრონი, დრონი“ **(კომპოზიცია).**

რესურსი 1. ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფია (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 15-16).

რესურსი 2.მხატვრული ანალიზის ელემენტები — რომანტიზმი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 17-21).

რესურსი 3. კითხვის სტრატეგია — ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება(იხ. სახელმძღვანელო, გვ. 21).
რესურსი 4. ალ. ჭავჭავაძე, „ვისაც გსურთ“, „ვაჰ, დრონი, დრონი“(იხ. სახელმძღვანელო, გვ. 22, 24).
რესურსი 5. სამშობლოს სატკივარი ალეგორიების გარეშე (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 25).
რესურსი 6. ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ — სქემა.

ეპოქა	ფრაზები ლექსებიდან	რა მხატვრული ხერხია გამოყენებული	მკითხველის კომენტარი
წარსულში			
აწმყოში			
მომავალში			

დამატებითი საკითხავი: ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი (ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ.66-72).

აქტივობა 1. ტექსტების გაცნობამდე დასამუშავებელი საკითხები (რეს.1,2,3).
აქტივობა 2. ტექსტების გაცნობა კომენტირებული კითხვის მეთოდით, მისი დამუშავება/გააზრება სახელმძღვანელოში წარმოდეგნილ კითხვებზე დაყრდნობით (რეს.4, 5).
აქტივობა 3. სქემის შევსება (რეს.6).

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ვინ იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის მშობლები? ▯ რომელი ისტორიული მოვლენაა დაკავშირებული გარსევან ჭავჭავაძესთან? ▯ როგორი განათლება მიიღო მომავალმა პოეტმა და რამ შეუწყო ამას ხელი? ▯ ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის რომელი დეტალების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ რუსული ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ქართველი თავადაზნაურობის მიმართ (გაითვალისწინეთ დამატებით საკითხავი მასალა)? ▯ როგორ იკვეთება ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნება მის ბიოგრაფიაში? ▯ რამდენად და როგორ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას პრეზენტაციაზე მუშაობისას? ▯ რა არის რომანტიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, საფუძველი? ▯ საიდან იღებს სათავეს „მსოფლიო სევდა“? ▯ რა ახასიათებს რომანტიკული ლიტერატურის გმირს და რატომაა იგი, თქვენი აზრით, საზოგადოებისაგან გარიყული? ▯ რა ნიშნებით ხასიათდება ლირიკულ-ეპიკური ჟანრი და რამ შეუწყო ხელი მის წარმოშობას? ▯ რას წარმოადგენს ადამიანი რომანტიკოსისათვის? ▯ რაში გამოიხატა ქართული ლექსის ევროპეიზაცია? ▯ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში რომანტიზმის დამკვიდრებას წინააღმდეგობა არ შეხვედრია? ▯ როგორ ხასიათდება ჩვენს სინამდვილეში რომანტიზმის პირველი ეტაპი? რა წამოიწევს წინა პლანზე? ▯ ჩამოაყალიბეთ რომანტიზმის ნიშნები.	

	შენიშვნა: ეს საინფორმაციო ტექსტი სასურველია დამუშავდეს გაკვეთილზე კითხვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (მაგ., მასწავლებლის მიერ მოფიქრებული რაიმე სქემის შევსება, მოზაიკის მეთოდი და ა.შ.) - თქვენი აზრით, რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტების გასააზრებლად ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინება? - როგორ გამოიყენებთ ტექსტების გააზრებისას და დავალებაზე მუშაობისას ცოდნას რომანტიზმის შესახებ? - ლექსების — „ვისაც გსურთ“ და ვაჰ, დრონი, დრონი“ — გაგება-გააზრება პარიფრაზირების მეთოდით, დამუშავება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კითხვების მეშვეობით. - რომენტიზმის რა ნიშნები იკვეთება ალ. ჭავჭავაძის ლექსებში? - როგორ, რა ხერხებით წარმოაჩენს ქვეყნის მდგომარეობას პოეტი თავის ლექსებში და მისი რა დამოკიდებულება ჩანს — იმედით უყურებს მომავალს თუ — პირიქით? სქემაზე მუშაობა (რეს.6) - რამდენად/როგორ გამოგადგებათ თქვენ მიერ შევსებული სქემა პრეზენტაციაზე მუშაობისას?	

ნაბიჯი 2. ზეპირი გამოსვლის სტრუქტურული ნაწილები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა **(ჟანრი, კომპოზიცია);** თქვენი დამოკიდებულება ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი, რამდენად გასაგები და მისაღებია მის ლექსებში გამოხატული ემოცია თქვენთვის **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

აქტივობა 1. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	- რის შესახებ ისაუბრებთ პრეზენტაციის შესავალ ნაწილში? - რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? - რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას პრეზენტაციის მესამე ნაწილში? - როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა პრეზენტაციის თავდაპირველი ვარიანტი? - რამდენად გამოვკვეთე ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოკიდებულება ქვეყნის იმჟამინდელი მდგომარეობის შესახებ? - რამდენად გავითვალისწინე მსჯელობისას ლიტერატურული კონტექსტი? - რამდენად გამოვხატე საკუთარი შეფასება/დამოკიდებულება პოეტის შემოქმედებისადმი? - გამომდინარეობს თუ არა ჩემი პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო პრეზენტაციის თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N2**
სამიზნე ცნება — **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებ** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება** — კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; საორგანიზაციო ყალიბი; ლექსიკა, სტილი, ინტერტექსტუალური მიმართებები, რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები;	**საკითხი** - გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“. **ქვესაკითხი —** გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“— დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახულ თხზულებათა თემა, იდეა, ლირიკული გმირი, ავტორისეული პოზიცია; ესეს სტრუქტურული ნაწილები — შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; ესეში განხილულ ტექსტებში წარმოჩენილი ენობრივი საშუალებები — ეპითეტი, შედარება, სიმბოლო; ალუზია; ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი, თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება, ისტორიული წარსულის რეალიები, ლექსში გამოხატული ემოციის აქტუალურობა. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავწერო ანალიტიკური ესე, რომელშიც გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“— დაყრდნობით არგუმენტირებულად ვიმსჯელებ წარსულის განცდაზე ავტორის შემოქმედებაში? როგორ წარმოვაჩინო თხზულებებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ტექსტებში მათი ფუნქციის ცოდნა? როგორ გამოვკვეთო საკუთარი დამოკიდებულება სამსჯელო საკითხისადმი? **კომპლექსური დავალება** — გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე — „იარალის“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“— დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „წარსულის განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“.

	თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტებიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითად ნაწილი, დასკვნა. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის.	- რამ განაპირობა წარსულის იდეალიზაცია რომანტიკულ ლიტერატურაში ზოგადად და რამ გაამძაფრა ეს მოტივი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - როგორ აისახა წარსულის იდეალიზაცია ლექსში „იარალის“ — ტექსტის დამოწმებით **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - თქვენი აზრით, რატომ ჩაუთვალა ამ ლექსის დაწერა დანაშაულად გრიგოლ ორბელიანს მეფის რუსეთის ხელისუფლებამ **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - რომანტიზმისთვის დამახასიათებელი რომელი ნიშნები ჩანს ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — ტექსტიდან სათანადო ადგილების დამოწმებით **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - ჩვენი ქვეყნის წარსულის რომელ მონაკვეთს აიდეალებს პოეტი და რატომ; რა არ მოსწონს თავის თანამედროვეობაში და ხედავს თუ არა გამოსავალს **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - რა არის პოეტის მთავარი სათქმელი ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და რომელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებითაა იგი გადმოცემული (მაგ., ეპითეტი, შედარება, ალუზია, სიმბოლო...) **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);**

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან	▯ რამდენად გასაგებია თქვენთვის გრიგოლ ორბელიანის ლექსებში გამოხატული ემოცია და რამდენად აქტუალურია ის დღეს **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- გაიხსენეთ ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები. რა სათქმელისთვის იყენებენ მწერლები ისტორიულ თემატიკას?
- თქვენ როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა, ადამიანმა იცოდეს საკუთარი ქვეყნის წარსული? პასუხი დაასაბუთეთ.

აქტივობა 2.კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რამ განაპირობა წარსულის იდეალიზაცია რომანტიკულ ლიტერატურაში ზოგადად და რამ გაამძაფრა ეს მოტივი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში **(კომპოზიცია, კონტექსტი);** როგორ აისახა წარსულის იდეალიზაცია ლექსში „იარალის“— ტექსტის დამოწმებით **(კომპოზიცია, კონტექსტი);** თქვენი აზრით, რატომ ჩაუთვალა ამ ლექსის დაწერა დანაშაულად გრიგოლ ორბელიანს მეფის რუსეთის ხელისუფლებამ **(კომპოზიცია, კონტექსტი);**

რესურსი 1. გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია (იხ. სახელმძღვანელო, გვ.32-33).

რესურსი 2. გრიგოლ ორბელიანი, „იარალის“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 34-36).
რესურსი 3. ვინ იყო იარალი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 37).
რესურსი 4. დაკითხვის ოქმში შეტანილი ლექსი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 38).
რესურსი 5. სულ სხვა დროის გამოძახილი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 38).
რესურსი 6. გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება სამშობლოს წარსულისადმი (სქემა).

ფაქტი/მოვლენა წარსულიდან	ავტორის შეფასება/დამოკიდებულება (ციტატა ტექსტიდან)	მკითხველის კომენტარი

აქტივობა 1. გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის გაცნობა.

(შენიშვნა: შესაძლოა მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს ილიას სიტყვა წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე — https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/11/14/sityva-warmothqmuli-grigol-orbelianis-dasaflavebaze/)

აქტივობა 2. ტექსტის გაცნობა კომენტირებული კითხვის მეთოდით, მისი დამუშავება/გააზრება სახელმძღვანელოში წარმოდეგნილ კითხვებზე დაყრდნობით.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	- როგორ გარემოში იზრდებოდა მომავალი პოეტი, რა გავლენა მოუხდენია დედას გრიგოლზე? - სად მიიღო განათლება გრიგოლ ორბელიანმა? - რა დასდო ბრალად პოეტს რუსეთის ხელისუფლებამ, რა გახდა ამ ნამსახური სამხედრო პიროვნების დაპატიმრების მიზეზი? - პოეტის რომელი პიროვნული ნიშნები იკვეთება მის ბიოგრაფიაში? - რამდენად და როგორ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას ესეზე მუშაობისას? - როგორ აფასებდა ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის მოღვაწეობას? - მისი აზრით, რა დამსახურებისთვის მიაგო პატივი დასაფლავებაზე პოეტს ქართველმა ხალხმა? - როგორ გესმით ილიას სიტყვაში მოყვანილი ციტატა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებიდან: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!“? - ლექსის „იარალის“ გაგება-გააზრება სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით; - ჩანს თუ არა ლექსში მომავლის იმედი და როგორაა იგი გამოხატული ? პასუხი დაასაბუთეთ. - როგორც ხედავთ, ლექსში „იარალის“ სულ სხვადასხვა სალექსო საზომია გამოყენებული. თქვენი აზრით, როდის ანუ რა სათქმელისთვის იყენებს ავტორი ოცმარცვლიან სალექსო საზომს? - ჩამოწერეთ ყველა ის ფაქტი და მოვლენა, რომლებსაც იხსენებს ავტორი წარსულიდან და ლექსზე დაყრდნობით ახსენით, როგორ აფასებს მათ პოეტი, მისი რა განცდა/განწყობა იკვეთება ამ შეფასებებში? (სქემის შევსება) - ვის მიუძღვნა ლექსი „იარალის“ პოეტმა და რა ცნობებია შემორჩენილი ამ პიროვნების შესახებ? - რა იყო მიუღებელი, თქვენი აზრით, ამ ლექსში რუსეთის ხელისუფლებისთვის? (პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით).	

	სახელმძღვანელოში მოცემული საკლასო დავალების შესრულება. ▯ როგორ გამოიყენებთ გაწეულ მუშაობასა და შევსებულ სქემას ესეში?

ნაბიჯი 2. რა არის პოეტის მთავარი სათქმელი ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და რომელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებითაა იგი გადმოცემული (მაგ., ეპითეტი, შედარება, ალუზია, სიმბოლო...) **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** რამდენად გასაგებია თქვენთვის გრიგოლ ორბელიანის ლექსებში გამოხატული ემოცია და რამდენად აქტუალურია ის დღეს **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

რესურსი 1. გრიგოლ ორბელიანი, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 39-41).
რესურსი 2. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების სქემა.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალება	ციტატა ტექსტიდან	ფუნქცია

აქტივობა 1. ტექსტის გაცნობა კომენტირებული კითხვის მეთოდით, მისი დამუშავება/გააზრება სახელმძღვანელოში წარმოდეგნილ კითხვებზე დაყრდნობით.
აქტივობა 2. მუშაობა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე.
აქტივობა 3. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ტექსტზე მუშაობა სახელმძღვანელოს კითხვებზე დაყრდნობით; ▯ წუთისოფლის სამდურავი ცნობილი მოტივია შუა საუკუნეების მწერლობაში, „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: *„ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია,* *მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცეს ხანგრძლად მწველია“.* გურამიშვილი წერდა: *„ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;* *დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს“...* — მოძებნეთ გრიგოლ ორბელიანის ამ ლექსში ალუზიის შემთხვევები და გაარკვიეთ მათი ფუნქცია. (მუშაობა ენობრივ-გამომსახველობითი ხერხების ფუნქციაზე ტექსტში — სქემის შევსება); ▯ რომანტიზმის რომელი ნიშნები ჩანს ამ ლექსში? ▯ როგორ გამოიყენებთ სქემას ესეზე მუშაობისას? ▯ რის შესახებ ისაუბრებთ თხზულების შესავალ ნაწილში? ▯ რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? ▯ რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში? ▯ როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა ანალიტიკური ესეს თავდაპირველი ვარიანტი? ▯ რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში გრიგოლ ორბელიანის შეხედულება/დამოკიდებულება ქვეყნის წარსულის, იმჟამინდელი მდგომარეობისა და მომავლის შესახებ? ▯ რამდენად გამოკვეთე ესეში რომანტიზმის ნიშნები საანალიზო თხზულებებზე დაყრდნობით?

		- რამდენად წარმოვაჩინე ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების როლი/ფუნქცია ავტორის მთავარ სათქმელთან მიმართებით ორივე ლექსში? - რამდენად გამოვხატე საკუთარი შეფასება/დამოკიდებულება პოეტის ემოციისა და მისი აქტუალობის თაობაზე თანამედროვე კონტექსტში? - გამომდინარეობს თუ არა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო პრეზენტაციის თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N 3**
სამიზნე ცნება — **ჟანრი** (შედეგები: ქართ.საშ.1,4,6,7) **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება** — არამხატვრული, მხატვრული ტექსტები; კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; სტრუქტურა-ორგანიზება; ლექსიკა, სტილი, ინტერტექსტუალური მიმართებები, რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** ზეპირი პრეზენტაციის მომზადება თემაზე: „იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით. **ქვესაკითხი —** ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით. მომზადებულ ზეპირ პრეზენტაციაში ასახულ თხზულებათა თემა, იდეა, ლირიკული გმირი, პეიზაჟი, მეტრი, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის პრეზენტაციის სტრუქტურული ნაწილები — შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; მოცემულ ტექსტებში ასახული მხატვრული ხერხები — ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, სიმბოლო; ალუზია; რიტორიკული მიმართვა; ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი, ლექსის მთავარი სათქმელი თანამედროვეობის კონტექსტში. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ ავაგო ზეპირი პრეზენტაცია, რომელშიც წარმოვაჩენ რომანტიკოსთა შემოქმედებაში არსებულ იდეათა პარალელიზმს? როგორ გამოვკვეთო ნაშრომში საკუთარი თვალსაზრისი/დამოკიდებულება სამსჯელო საკითხისადმი? **კომპლექსური დავალება** — სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე: „იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში“. პრეზენტაციაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალური მასალა (მაგ., ფოტო, სქემა, ცხრილი).

	ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური ხანგრძლივობა-5-6 წუთი.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო	☐ ზეპირი გამოსვლის სტრუქტურული ნაწილები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა **(ჟანრი, კომპოზიცია);** ☐ რა აერთიანებს ნ.ბარათაშვილის „მერანს“, ჰ. ჰაინესა და ჯ. ბაირონის წარმოდგენილ ნაწარმოებებს; რამ განაპირობა იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში — კონკრეტული ადგილების დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** ☐ ყორნის სახე-სიმბოლოს უძველესი წარმოშობა, რას აღნიშნავს ის და რამ განაპირობა ამ სახე-სიმბოლოს ფართოდ გავრცელება რომანტიკულ ხელოვნებაში — შესაბამისი მასალის დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** ☐ თქვენი თვალსაზრისი და დამოკიდებულება სამსჯელო საკითხის შესახებ **(კომპოზიცია).**

ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნამ ნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კონტექსტი 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა ტიპის ფაქტი/მოვლენა ან განცდა იქცევა ხოლმე მწერლისთვის რომელიმე ჟანრის ნაწარმოების შექმნის შთაგონებად?
- რამდენად აუცილებელია, ასეთ შემთხვევაში სწორედ ეს მოვლენა აისახოს ნაწარმოებში? გაიხსენეთ ასეთი თხზულებები.

აქტივობა 2.კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა აერთიანებს ნ.ბარათაშვილის „მერანს“, ჰ. ჰაინესა და ჯ. ბაირონის წარმოდგენილ ნაწარმოებებს; რამ განაპირობა იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში-კონკრეტული ადგილების დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** ყორნის სახე-სიმბოლოს უძველესი წარმოშობა, რას აღნიშნავს ის და რამ განაპირობა ამ სახე-სიმბოლოს ფართოდ გავრცელება რომანტიკულ ხელოვნებაში-შესაბამისი მასალის დამოწმებით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი).**

რესურსი 1. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „მერანი“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 51-52).
რესურსი 2. სახელმძღვანელოში მოცემულ დამატებითი მასალა: ორი თვალსაზრისი; „თვალბედითი შავი ყორანი“— ხალხური ლექსი; ვინ შეურჩია ბარათაშვილის უკვდავ ლექსს სათაური? „თვალბედითი შავი ყორანი“ და იდეათა პარალელიზმი რომანტიკოსთა შემოქმედებაში (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 53-56).
რესურსი 3. იდეათა პარალელიზმის ამსახველი სქემა.

ნ. ბარათაშვილი **ფრაზები ლექსიდან**	**ჰაინრიხ ჰაინე** **ფრაზები ლექსიდან**	**ჯორჯ გორდონ ბაირონი** **ფრაზები ლექსიდან**	**მკითხველის კომენტარი**
წარსულში			
აწმყოში			
მომავალში			

აქტივობა 1. ტექსტის გაცნობა კომენტირებული კითხვის მეთოდით, მისი დამუშავება/გააზრება სახელმძღვანელოში წარმოდეგნილ კითხვებზე დაყრდნობით.
აქტივობა 2. დამატებით მასალაზე მუშაობა.
აქტივობა 3. სქემის შევსება (რეს.3.).

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ლექსის — „მერანი“ — გაგება-გააზრება პარაფრაზირების მეთოდით, დამუშავება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კითხვების მეშვეობით. ▯ რომანტიზმის რა ნიშნები იკვეთება ბარათაშვილის „მერანში“? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით. ▯ პავლე ინგოროყვას რომელ ფრაზაში ჩანს „მერანში“ გამოხატული ავტორის სათქმელი? ▯ მკვლევარ აკაკი გაწერელიას „მერანი“ ქართულ პოეზიაში „ნოვატორულ მოვლენად“ მიაჩნია. რამდენად ეთანხმებით ამ აზრს, რა სიახლეს ხედავთ ამ ლექსში? ▯ რა სურათია აღწერილი ხალხურ ლექსში? ▯ რა დატვირთვა აქვს შავ ყორანსა და გველს ტექსტში? ▯ თქვენი აზრით, რა იყო მიზეზი თინიბექას „გულსუწადინოდ“ სიკვდილისა, შესაძლებელია სიკვდილი სასურველი იყოს? პასუხი დაასაბუთეთ. ▯ დააკვირდით ინგლისელი მხატვრის, ჯეიმს უორდის, ნამუშევრის რეპროდუქციას და სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაიაზრეთ, რატომ გამოსახა მხატვარმა ყორანი სურათზე? ▯ რამდენად გამოგადგებათ თინიბექას ლექსსა და უორდის ნამუშევარში წარმოჩენილი „შავი ყორნის“ სიმბოლოს გააზრება თქვენს ნაშრომში? ▯ ბარათაშვილის ლექსის ლირიკული გმირი მხედარია, მოგზაურები არიან ჰაინესა და ბაირონის გმირებიც, თქვენი აზრით, რატომაა რომანტიკოსთა ინტერესის საგანი გზა/მოგზაურობა? მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, თუ სიმბოლური დატვირთვა აქვს მოგზაურობის მოტივს რომანტიკოსებთან? ▯ როგორ გამოიხატა იდეათა პარალელიზმი ნ.ბარათაშვილის „მერანში“, ჰ. ჰაინესა და ჯ. ბაირონის წარმოდგენილ ნაწარმოებებში? (სქემაზე მუშაობა) ▯ რამდენად/როგორ გამოგადგებათ თქვენ მიერ შევსებული სქემა პრეზენტაციაზე მუშაობისას?	

ნაბიჯი 2. ზეპირი გამოსვლის სტრუქტურული ნაწილები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა **(ჟანრი, კომპოზიცია);** თქვენი თვალსაზრისი და დამოკიდებულება სამსჯელო საკითხის შესახებ **(კომპოზიცია).**

აქტივობა 1. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ რის შესახებ ისაუბრებთ პრეზენტაციის შესავალ ნაწილში? ▯ რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? ▯ რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას პრეზენტაციის მესამე ნაწილში? ▯ როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა პრეზენტაციის თავდაპირველი ვარიანტი? ▯ რამდენად გამოვკვეთე პრეზენტაციაში იდეათა პარალელიზმი ნ.ბარათაშვილის „მერანში“, ჰ. ჰაინესა და ჯ. ბაირონის წარმოდგენილ ნაწარმოებებში? ▯ რამდენად გავითვალისწინე მსჯელობისას ლიტერატურული კონტექსტი? ▯ რამდენად გამოვხატე საკუთარი შეფასება/დამოკიდებულება სამსჯელო საკითხისადმი? ▯ გამომდინარეობს თუ არა ჩემი პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? ▯ როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო პრეზენტაციის თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? ▯ როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N4**
სამიზნე ცნება — **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7). **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება —** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; საორგანიზაციო ყალიბი; ლექსიკა, სტილი, ინტერტექსტუალური მიმართებები, რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი“ **ქვესაკითხი —** ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახულ თხზულებათა თემა, იდეა, ლირიკული გმირი, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; განხილულ ტექსტებში ასახული მხატვრული ხერხები — ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, სიმბოლო; ალუზია; რიტორიკული მიმართვა; ლიტერატურული კონტექსტი — რომანტიზმი. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავწერო ანალიტიკური ესე, რომელშიც არგუმენტირებულად ვიმსჯელებ რომანტიზმზე, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობაზე და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ლექსებში გამოვლენილ რომანტიზმის ნიშნებზე? **კომპლექსური დავალება** ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი“. თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტებიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	- როდის და სად აღმოცენდა რომანტიზმი, როგორც მხატვრული მიმდინარეობა **(კონტექსტი);** - სამყაროს როგორი აღქმა დაედო საფუძვლად რომანტიკოსთა მსოფლხედვასა და მხატვრულ მეთოდს? **(კონტექსტი);** - რა ძირითადი მახასიათებლები გამოარჩევს რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას **(კონტექსტი);** - რომანტიკული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ რომელ წამყვან თემას უჭირავს ცენტრალური ადგილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში **(ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი);** - როგორ შეისხა ხორცი ბარათაშვილის ნაწარმოებებში რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელმა სხვა თემებმა **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი).**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- თქვენი აზრით, ბარათაშვილს რომ ასრულებოდა სურვილი, კერძოდ, სამხედრო პირი გამხდარიყო, როგორც უმეტესობა იმდროინდელი თავად-აზნაურებისა, ანდაც უნივერსიტეტში ესწავლა (რასაც სთხოვდა მამას და ხელმოკლეობის გამო ვერც ეს ოცნება აისრულა), დაიწერებოდა მაინც თუ არა თქვენთვის უკვე ცნობილი ლექსები? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. როდის და სად აღმოცენდა რომანტიზმი, როგორც მხატვრული მიმდინარეობა **(კონტექსტი);** სამყაროს როგორი აღქმა დაედო საფუძვლად რომანტიკოსთა მსოფლხედვასა და მხატვრულ მეთოდს? (**კონტექსტი);** რა ძირითადი მახასიათებლები გამოარჩევს რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას (**კონტექსტი);**

რესურსი 1. რომანტიზმი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 17-21).

აქტივობა 1. რომანტიზმზე თეორიული მასალის გახსენება.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ რა არის რომანტიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, საფუძველი? ▯ რა იყო რომანტიზმში უსაზღვროების კულტის დამკვიდრების მიზეზი? ▯ საიდან იღებს სათავეს „მსოფლიო სევდა“? ▯ რა ახასიათებს რომანტიკული ლიტერატურის გმირს და რატომაა იგი, თქვენი აზრით, საზოგადოებისაგან გარიყული? ▯ რა დამოკიდებულება აქვს რომანტიკოსს ბუნებისადმი? ▯ რა ნიშნებით ხასიათდება ლირიკულ-ეპიკური ჟანრი და რამ შეუწყო ხელი მის წარმოშობას? ▯ რას წარმოადგენს ადამიანი რომანტიკოსისათვის? ▯ როგორ გამოიხატა ქართული ლექსის ევროპეიზაცია? ▯ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში რომანტიზმის დამკვიდრებას წინააღმდეგობა არ შეხვედრია? ▯ როგორ ხასიათდება ჩვენს სინამდვილეში რომანტიზმის პირველი ეტაპი? რა წამოიწევს წინა პლანზე? ▯ ჩამოაყალიბეთ რომანტიზმის ნიშნები. ▯ რამდენად და როგორ დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ეს თეორიული მასალა ნაშრომზე მუშაობისას?

ნაბიჯი 2. რომანტიკული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ რომელ წამყვან თემას უჭირავს ცენტრალური ადგილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში **(ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი);** როგორ შეისხა ხორცი ბარათაშვილის ნაწარმოებებში რომანტიკული ლიტერატურული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელმა სხვა თემებმა **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი).**

რესურსი 1. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები: „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „მერანი“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ჩემი ლოცვა“, „ვეპოვე ტაძარი“, რად ჰყვედრი კაცსა“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 47-63).

რესურსი 2. ლექსებში ასახული თემა, იდეა, რომანტიზმის ნიშნები, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები — სქემა.

ბარათაშვილის ლექსები	**თემა, ავტორის მთავარი სათქმელი**	**რომანტიზმის ნიშნები**	**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**	**მკითხველის კომენტარი**
„შემოღამება მთაწმიდაზედ“,				
„მერანი“				
„ხმა იდუმალი“				
„სულო ბოროტო“				
„ჩემი ლოცვა“				
„ვეპოვე ტაძარი“				
„რად ჰყვედრი კაცსა“				

აქტივობა 1. შესწავლილი ლექსების გახსენება.
აქტივობა 2. მუშაობა სქემაზე.
აქტივობა 3. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	- რა დანიშნულება აქვს ბუნების აღწერას ლექსში „შემოღამება მთაწმიდაზე“, რა მთავარი სათქმელისთვის გამოიყენა პოეტმა იგი (გაიხსენეთ მერვე კლასში ნასწავლი ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“)? - რომანტიზმის რომელი ნიშნები იკვეთება ამ ლექსში? - როგორ ჩამოაყალიბებთ ლექსის „მერანი“ თემასა და მთავარ სათქმელს? როგორ უკავშირდება ეს ლექსი რომანტიკულ მიმდინარეობას? - რა თემაზეა დაწერილი ლექსები: „ხმა იდუმალი“ და „სულო ბოროტო“? ვის მომართავს ლირიკული გმირი თითოეულ მათგანში? რომანტიზმის რომელი ნიშნები იკვეთება ამ ნაწარმოებებში? - რა სათქმელისთვის იხსენებს ბარათაშვილი ძე შეცთომილის იგავს ლექსში „ჩემი ლოცვა? - რას შესთხოვს იგი ღმერთს? - რომანტიზმისთვის დამახასიათებელი რა ნიშნები აქვს ლექსს „ვპოვე ტაძარი“? - სიყვარულის თემაზე შექმნილი თქვენთვის ცნობილი (მეათე კლასში ნასწავლი) ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, როგორ მუშავდება ეს საკითხი ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“? - რამდენად შეესაბამება სიყვარულის ბარათაშვილისეული აღქმა რომანტიკოსთა შეხედულებას ამ საკითხზე? - როგორ გამოიყენებთ სქემას ესეზე მუშაობისას? - რის შესახებ ისაუბრებთ თხზულების შესავალ ნაწილში? - რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? - რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში?	

	- როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა ანალიტიკური ესეს თავდაპირველი ვარიანტი? - რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში ჩემი ცოდნა რომანტიზმის, როგორც მიმდინარეობის შესახებ? - სრულყოფილად გავაანალიზე თუ არა ესეში ბარათაშვილის შემოქმედება (შესწავლილ ტექსტებზე დაყრდნობით), როგორც რომანტიკოსი პოეტისა? - რამდენად გავამახვილე ყურადღება ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებსა და მათ ფუნქციაზე ტექსტებში? - გამომდინარეობს თუ არა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო ესეს თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

II ქვეთემა

ქვეთემა: ილუზიების მსხვრევა (სახელმძღვანელოს II თავი: ქართული თეატრის დაარსება) **საათების სავარაუდო რაოდენობა: 10**	
ქვეთემაში გამოყენებული ტექსტები: 1. **გიორგი ერისთავი,** „გაყრა“.	
	საკითხები
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** გიორგი ერისთავის პიესის — „გაყრა“ — ერთი მოქმედების გადაკეთება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.
ჟანრი ქვეცნება: მხატვრული	**ქვესაკითხი:** გიორგი ერისთავის პიესის — „გაყრა“ — გადაკეთებული ერთი მოქმედების ჟანრული მახასიათებლები
კომპოზიცია ქვეცნება: კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები	**ქვესაკითხები:** გადაკეთებული პიესის თემა, იდეა,პერსონაჟი, მისი დამოკიდებულებები; სიუჟეტის განვითარების საფეხურები, დიალოგი,მონოლოგი, პოლილოგი, რემარკა, რეპლიკა.
ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება: ლექსიკა, სტილი	**ქვესაკითხი:** გადაკეთებულ პიესაში სასაუბრო სტილი - ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი...
კონტექსტი ქვეცნებები: სოციოკულტურული კონტექსტი	**ქვესაკითხი:** პიესაში ასახული თანამედროვეობის თემატიკა/პრობლემატიკა, მორალურ-ეთიკური ორიენტირები.
	კომპლექსური დავალება 1. *პიესის გადაკეთება*

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N5**
სამიზნე ცნება — **ჟანრი** (შედეგები: ქართ.საშ.1,4,6,7) **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება** — მხატვრული ჟანრი; კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; ლექსიკა, სტილი; სოციოკულტურული კონტექსტი.	**საკითხი —** გიორგი ერისთავის პიესის — „გაყრა“ — ერთი მოქმედების გადაკეთება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. **ქვესაკითხი —** გიორგი ერისთავის პიესის — „გაყრა“ — გადაკეთებული ერთი მოქმედების ჟანრული მახასიათებლები, თემა, იდეა, პერსონაჟი, მისი დამოკიდებულებები; სიუჟეტის განვითარების საფეხურები, დიალოგი,მონოლოგი, პოლილოგი, რემარკა, რეპლიკა; სასაუბრო სტილი — ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი, თანამედროვეობის თემატიკა/პრობლემატიკა, მორალურ-ეთიკური ორიენტირები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გადავაკეთო გიორგი ერისთავის პიესის — „გაყრა“ — ერთი მოქმედება ჟანრული მახასიათებლებისა და თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით? როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, მონოლოგი და/ან ავტორისეული რემარკა მთავარი სათქმელის გადმოსაცემად? **კომპლექსური დავალება** წარმოიდგინეთ, რომ სკოლის სცენაზე გიორგი ერისთავის „გაყრა“ უნდა დადგათ. კარგად დაფიქრდით, როგორ შეიძლება წარუდგინოთ ეს პიესა თანამედროვე მაყურებელს ისე, რომ მისი აქტუალურობა თვალში საცემი იყოს. მოუძებნეთ „გაყრის“ პერსონაჟებს შესატყვისი ტიპაჟები დღევანდელ სინამდვილეში და გადააკეთეთ პიესის ერთი მოქმედება თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმი —**

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.	• პიესის, როგორც მხატვრული ჟანრის ნაწარმოების სტრუქტურული ელემენტები: მოქმედ პირთა ჩამონათვალი, მოქმედების ადგილის მოკლე აღწერა, ავტორის რემარკები, მოქმედი პირების დიალოგი **(ჟანრი, კომპოზიცია);** • „გაყრის“ პერსონაჟების შესატყვისი თანამედროვე ტიპაჟები და მათი ხასიათი შესაბამისი დიალოგების, ლექსიკის, ლაპარაკის მანერისა და ქცევის საშუალებით **(ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი);** • კონფლიქტი ამ პერსონაჟთა შორის, რომელიც შესაძლოა დღევანდელ ვითარებაში წარმოშობილიყო (**კომპოზიცია, კონტექსტი);** • პიესის მთავარი სათქმელი ავტორისეული რემარკის ან რომელიმე პერსონაჟის მონოლოგის სახით **(ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.	

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- ილია წერდა: „... თუ ეს თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს“. თქვენი აზრით, რა დანიშნულება აქვს დღეს თეატრს?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. პიესის, როგორც მხატვრული ჟანრის ნაწარმოების სტრუქტურული ელემენტები: მოქმედ პირთა ჩამონათვალი, მოქმედების ადგილის მოკლე აღწერა, ავტორის რემარკები, მოქმედი პირების დიალოგი **(ჟანრი, კომპოზიცია);** „გაყრის“ პერსონაჟების შესატყვისი თანამედროვე ტიპაჟები და მათი ხასიათი შესაბამისი დიალოგების, ლექსიკის, ლაპარაკის მანერისა და ქცევის საშუალებით **(ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი).**

რესურსი 1. ქართული თეატრის ისტორიიდან (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 77-78)

რესურსი 2. ქართული თეატრის სათავეებთან

https://kvirispalitra.ge/article/7493-qarthuli-theatris-sathaveebthan/

რესურსი 3. გიორგი ერისთავი-ბიოგრაფია (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 79)

რესურსი 4. ტექსტის ანალიზის ელემენტები, კითხვის სტრატეგია (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 80)

რესურსი 5. გიორგი ერისთავი, „გაყრა“(იხ. სახელმძღვანელო, გვ. 81-99)

რესურსი 6. დრამატული ნაწარმოების სტრუქტურა (გახსენება)

სტრუქტურა	**ტექსტიდან**
მოქმედ პირთა ჩამონათვალი, რემარკა	
რეპლიკა	
I სცენა	

რესურსი 7. სიუჟეტის განვითარების საფეხურები დრამატულ ნაწარმოებში

სიუჟეტის განვითარების საფეხურები	**ტექსტის დამოწმება**	**მკითხველის კომენტარი**
ექსპოზიცია		
კვანძის შეკვრა		
მოქმედების განვითარება		
კულმინაცია		
კვანძის გახსნა		
ბოლოთქმა		

რესურსი 8. ტექსტის ენა (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 104)

პერსონაჟები	**რეპლიკები**	**კომენტარი**
ანდუყაფარი		
ივანე		
პავლე		
მიკირტუმა		

აქტივობა 1. მუშაობა ტექსტის წაკითხვამდე მოცემულ საკითხებზე.
აქტივობა 2. ტექსტის გაგება-გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების მეშვეობით.
აქტივობა 3. დაკვირვება ჟანრულ მახასიათებლებზე.
აქტივობა 4. დაკვირვება ტექსტის ენაზე.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• როდის დაარსდა ქართული თეატრი და ვის სახელთანაა დაკავშირებული მისი დაარსება? (იხ. ინტერნეტრესურსი) • რატომ შეწყდა ერეკლე მეფის დროინდელი თეატრის არსებობა? • სად იმართებოდა თაეტრალური წარმოდგენები 1850 წლამდე? • რომელი პიესით დაედო საფუძველი განახლებულ ქართულ თეატრს? • რატომ დახურა მეფის რუსეთის მთავრობამ თეატრი, რა საშიშროება დაინახა მასში? • რომელი სპექტაკლი აიკრძალა მესამედ განახლებულ თეატრში? თქვენი აზრით, რამდენად მოუხერხებია თეატრს იმ ფუნქციის შესრულება, რომელსაც ილია აკისრებდა? • რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს გიორგი ერისთავის „გაყრას“? • რატომ მიიჩნევა გიორგი ერისთავი 60-ანელთა წინამორბედად? • რატომ არ კარგავენ კარგი კომედიები პუპულარობას საუკუნეთა შემდეგაც კი? ხომ არ გახსენდებათ რომელიმე ასეთი კომედია? • კომედიის რომელი ორი სახე გამოიყოფა? • რისი საშუალებით გადმოიცემა ამბავი დრამატულ ნაწარმოებში? • რა სტრატეგიას ვიყენებთ/რას ვაქცევთ ყურადღებას დრამატული ნაწარმოების კითხვისას? **ტექსტის დამუშავება სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების საშუალებით.** • დაასაბუთეთ, რომ „გაყრა“ ცრუ ფასეულობათა და ადამიანის მანკიერებათა სამხილებელი ტექსტია. • დააკვირდით პიესის **სტრუქტურულ ერთეულებს,** გამოყავით პირველ მოქმედებაში: მოქმედ პირთა ჩამონათვალი, ავტორის მითითება მოქმედების	

	ადგილზე, რომელი პერსონაჟები მონაწილეობენ სცენაში, ანუ რემარკები; რამდენი სცენაა პირველ მოქმედებაში, როგორაა გამოხატული ავტორის რემარკებში მოქმედ პირთა გარეგნობა ან მახასიათებლები?-პირველი სქემის შევსება. • გამოყავით **სიუჟეტის განვითარების საფეხურები:** რომელია **ექსპოზიციური** ნაწილი (მოქმედების წინარე ვითარება), რა ინფორმაციას აწვდის იგი მკითხველს, სად **იკვრება კვანძი** (ინასკვება კონფლიქტი, რომელსაც მოჰყვება მოქმედების შემდგომი განვითარება), რომელია **კულმინაცია** (ყველაზე დაძაბული ადგილი, სადაც წინააღმდეგობა უმაღლეს წერილს აღწევს), რომელი ეპიზოდით **იხსნება კვანძი,** ანუ სრულდება კონფლიქტი და ავტორი გვიჩვენებს კონფლიქტის შემდგომ ვითარებას, რა შეიძლება ჩაითვალოს **ბოლოთქმად?** რა არის გაცხადებული ამ ეპიზოდში? -მეორე სქემის შევსება. • როგორ გამოიყენებთ შევსებულ სქემებს თქვენს ნაშრომში? • რაზე მიგვანიშნებს ავტორი, როდესაც ყველა პერსონაჟს „თავის“ ენაზე ამეტყველებს? პერსონაჟთა მეტყველების ტიპური ნიმუშების ამოწერა-სქემის შევსება. • შეასრულეთ სახელმძღვანელოში მოცემული დავალება: დაწერეთ მშობლებსა და შვილებს, ან პაპა-ბებიებსა და შვილიშვილებს შორის გაუცხოების ამსახველი დიალოგი -გამოხატული მათს სამეტყველო ენაში (სლენგის, ბარბარიზმების, ჟარგონების გამოყენებით). • როგორ გამოიყენებთ მწერლის ენაზე დაკვირვებას დავალებაზე მუშაობისას?	

ნაბიჯი 2. კონფლიქტი ამ პერსონაჟთა შორის, რომელიც შესაძლოა დღევანდელ ვითარებაში წარმოშობილიყო (**კომპოზიცია, კონტექსტი);** პიესის მთავარი სათქმელი ავტორისეული რემარკის ან რომელიმე პერსონაჟის მონოლოგის სახით **(ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

რესურსი 1. ეს საინტერესოა! (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 101-104).
აქტივობა 1. მუშაობა ტექსტის შემდგომ წარმოდგენილ მასალაზე.
აქტივობა 2. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• მუშაობა დამატებით ამოცანებზე; • რა იქნება თქვენი პიესის თემა? • ვინ იქნებიან თქვენი პიესის პერსონაჟები? • როგორ აღნიშნავთ მოქმედების დროსა და ადგილს? • როგორ გააგრძელებთ რემარკას, რა დეტალებს დაამატებთ, ანუ რას უნდა ხედავდეს მაყურებელი? • სად, ვის სიტყვებში იქნება გამოხატული მთავარი სათქმელი? • როგორ, რა დანიშნულებით გამოიყენებთ ჟარგონს, ბარბარიზმებს, სლენგს თქვენი პერსონაჟების მეტყველებაში? • როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა დავალების თავდაპირველი ვარიანტი? • რამდენად და როგორ წარმოვაჩინე ნაშრომში ჩემი ცოდნა გიორგი ერისთავის „გაყრისა“? • როგორ გამოვკვეთე ჩემი პერსონაჟების ხასიათი მათს მეტყველებასა და ქცევაში? • რამდენად წარმოვაჩინე სიუჟეტის განვითარების რომელიმე საფეხური ჩემი პიესის ერთ მოქმედებაში? • გამოიხატა თუ არა მთავარი სათქმელი ჩემო პიესის აღნიშნულ მონაკვეთში?

	• რამდენად ავსახე თანამედროვეთა მეტყველება ჩემი პერსონაჟების დიალოგებში? • როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო „ჩანაწერების“ თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? • როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

III ქვეთემა

ქვეთემა: მომავლის შენება (სახელმძღვანელოს III თავი: ახალი თაობა)

საათების სავარაუდო რაოდენობა: დაახ. 65 საათი

თემაში გამოყენებული ტექსტები:

1. **ილია ჭავჭავაძე** — „მგზავრის წერილები“, „ორიოდე სიტყვა“, „პასუხის პასუხი“, ბედნიერი ერი“, „კაცია ადამიანი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“.
2. **აკაკი წერეთელი —„**ჩანგური“, „აღმართ-აღმართ“, „ჭაღარა“, „გამზრდელი“.

	საკითხები			
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების დაწერა სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“	**საკითხი 2.** ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „კაცია-ადამიანი?!“ როგორც რეალისტური ნაწარმოები.“	**საკითხი 3.** პრობლემაზე ორიენტირებული ესეს დაწერა თემაზე : „ჩატეხილი ხიდი“ ანუ გაუცხოების პრობლემა დღევანდელ საზოგადოებაში“.	**საკითხი 4.** გამოხმაურების დაწერა აკაკი წერეთლის პოემაზე „გამზრდელი“.
ჟანრი ქვეცნება: არამხატვრული, მხატვრული	**ქვესაკითხი:** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გათვალისწინებით დაწერილი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების ჟანრული მახასიათებლები.			
კომპოზიცია ქვეცნება: კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები საორგანიზაციო ყალიბი	**ქვესაკითხები:** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გათვალისწინებით დაწერილი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია; პერონაჟი, მისი	**ქვესაკითხები:** ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე „კაცია-ადამიანი?!“დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახული თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია; პერსონაჟები, მათი სახასიათო ნიშნები, ფასეულობები,	**ქვესაკითხები:** ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივი“ თემა, იდეა, პრობლემატიკა, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.	**ქვესაკითხები:** აკაკი წერეთლის „გამზრდელის“თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია, პერსონაჟები, მათი მახასიათებლები, ფასეულობები.

	დამოკიდებულებები; დიალოგი.	ურთიერთობები; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.		
ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება: ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, ენობრივი ფიგურები, რიტორიკის ელემენტები.	**ქვესაკითხი:** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გათვალისწინებით დაწერილი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების მხატვრულ-პუბლიცისტური სტილი; ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, ალეგორია; რიტორიკული მიმართვა.	**ქვესაკითხი:** „კაცია-ადამიანში?!“ გამოყენებული მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები-ირონია; ეპითეტი, შედარება, მეტაფორა; რიტორიკული მიმართვა; მოსწავლის ესეში — თეზისი, არგუმენტი.	**ქვესაკითხები:** მოსწავლის ესეში — თეზისი, არგუმენტი.	
კონტექსტი ქვეცნებები: ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი.	**ქვესაკითხი:** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გათვალისწინებით დაწერილ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები.	**ქვესაკითხი:** ლიტერატურული კონტექსტი — კრიტიკული რეალიზმი; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში.	**ქვესაკითხი:** ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი — თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში.	**ქვესაკითხი:** მოსწავლის ესეში განხილული ტექსტში წამოჭრილი პრობლემა თანამედროვეობის კონტექსტში.
	კომპლექსური დავალება 1. *მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების დაწერა*	**კომპლექსური დავალება 2**. *ანალიტიკური ესეს დაწერა*	**კომპლექსური დავალება 3**. *პრობლემაზე ორიენტირებული ესეს დაწერა*	**კომპლექსური დავალება 4**. *გამოხმაურების დაწერა*

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N6**
სამიზნე ცნება — **ჟანრი** (შედეგები: ქართ.საშ.1,4,6,7) **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება** — მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი; კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, ენობრივი ფიგურები, რიტორიკის ელემენტები; ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი.	**საკითხი —** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების დაწერა სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“. **ქვესაკითხი —** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით დაწერილი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია; პერონაჟი, მისი დამოკიდებულებები; დიალოგი, მხატვრულ-პუბლიცისტური სტილი; ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გამეორება, ალეგორია; რიტორიკული მიმართვა; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავწერო მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელშიც გადმოვცემ საკუთარ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი? როგორ გამოვიყენო ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ჩემი სათქმელის გადმოსაცემად? **კომპლექსური დავალება** ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ჟანრული მახასიათებლების გათვალისწინებით დაწერეთ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება სათაურით: „თანამედროვე მგზავრის წერილები“(ანუ გამოიყენეთ მოგზაურობის აღწერის ფორმა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემების მიმართ თქვენი დამოკიდებულების გადმოსაცემად). წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასაზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები,	• მოგზაურის ჩანაწერების, როგორც ლიტერატურული ჟანრის ძირითადი მახასიათებლები (მოგზაურობა რეალურ გეოგრაფიულ გარემოში, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემები ან პრობლემები, რომლებიც ამ მოგზაურობის დროს ნანახმა და განცდილმა გაგახსენათ, თქვენი დამოკიდებულება აღწერილი მოვლენებისადმი) - ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ცოდნის გათვალისწინებით **(ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი);** • რეალური ან გამოგონილი პერსონაჟი/პერსონაჟები, მათი დამოკიდებულებები თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი - გამოხატული როგორც ლოგიკურ მსჯელობაში, ასევე დიალოგებში ან მხატვრულ-ალეგორიული სახეების მეშვეობით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი).**

წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კონტექსტი 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- გიყვართ თუ არა სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებები, ფილმები? რას გაძლევთ ასეთი ტექსტები/ფილმები, როგორც პიროვნებას?
- შეგხვედრიათ თუ არა მოგზაურობის ჟანრის ტექსტები, რომლებშიც მნიშვნელოვანი მხოლოდ ადგილების აღწერა ან თავგადასავლის გადმოცემა კი არაა, არამედ ეს ფორმა უფრო სხვა სათქმელისთვისაა გამოყენებული? დაასახელეთ ეს ნაწარმოები და იმსჯელეთ, რა არის მასში ავტორის სათქმელი.

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. მოგზაურის ჩანაწერების, როგორც ლიტერატურული ჟანრის ძირითადი მახასიათებლები (მოგზაურობა რეალურ გეოგრაფიულ გარემოში, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემები ან პრობლემები, რომლებიც ამ მოგზაურობის დროს ნანახმა და განცდილმა გაგახსენათ, თქვენი დამოკიდებულება აღწერილი მოვლენებისადმი) — ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ცოდნის გათვალისწინებით **(ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი).**

რესურსი 1.ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 109-110).

რესურსი 2. რეალიზმი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 111-114).

რესურსი 3. მსგავსება-განსხვავების სქემის შევსება.



რესურსი 4. ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“(იხ. სახელმძღვანელო, გვ. 115-130).

რესურსი 4. „მგზავრის წერილები“, როგორც ლიტერატურული ჟანრი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 130) (ჟანრობრივი მახასიათებლების სქემა).

მოგზაურის ჩანაწერების ჟანრობრივი მახასიათებლები	ჟანრობრივი მახასიათებლები „მგზავრის წერილებში“

აქტივობა 1. მუშაობა ტექსტის წაკითხვამდე მოცემულ საკითხებზე.
აქტივობა 2. მუშაობა რეალიზმის მახასიათებლებზე (სქემის შევსება).
აქტივობა 3. ტექსტის გაგება-გააზრება სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების მეშვეობით.
აქტივობა 4. დაკვირვება ჟანრულ მახასიათებლებზე.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• როგორ გესმით თავის დასაწყისში მოცემული ფრაგმენტი ილიას ლექსიდან „ქართვლის დედას“? ვის მოუწოდებს ილია ამ სიტყვებით? • როგორ იხსენებს ილიას ბავშვობას მისი გამდელი, რითი იყო გამორჩეული და-ძმებს შორის იგი? • ილიას ღვაწლს შორის რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საერო საქმე? • თქვენ უკვე გაეცანით, როგორ შეაფასა მეოცე საუკუნემ ილიას მოღვაწეობა. გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“— რამდენად ეთანხმებით/არ ეთანხმებით პოეტს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ. • რა მიაჩნდა ილიას პოეტის დანიშნულებად? (გახსენება, ლექსი „პოეტი“) • რა საერთო აქვს რომანტიზმსა და რეალიზმს, რა განასხვავებს მათ? • რას ეყრდნობა რომანტიზმი და რას — რეალიზმი სინამდვილის წვდომისას?

	• სინამდვილის ასახვის რომელ მეთოდს უჭერდნენ მხარს რეალისტები? • როგორ იქმნება *ტიპი,* ზოგადი სახე ? • რა იგულისხმებოდა ტიპურ გარემოში? • როგორაა შესაძლებელი საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარება, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა აზრით? • რა როლი აკისრია პიროვნებას საზოგადოების გაჯანსაღებაში? • როგორ უნდა წარმოიშვას/აღიზარდოს გარემოზე ამაღლებული პიროვნება? • ტექსტის დამუშავება სახელმძღვანელოში მოცემული კითხვების საშუალებით; *შენიშვნა: ტექსტის ნაწილებზე მუშაობისას მასწავლებელი გეგმავს და ახორციელებს კლასში **მიმდინარე** დავალებებს იმის შესაბამისად, რა საკითხს/პრობლემას წამოჭრის ესა თუ ის მონაკვეთი, რაც, საბოლოო ჯამში, კომპლექსური დავალების შესრულებას შეუწყობს ხელს.* • რა ჟანრობრივი მახასიათებლები აქვს მოგზაურის ჩანაწერებს? დაასაბუთეთ, რომ „მგზავრის წერილები“ ამ ლიტერატურულ ჟანრს განეკუთვნება (სქემის შევსება); • როგორ გამოიყენებთ შევსებულ სქემებს თქვენს ნაშრომში?	

ნაბიჯი 2. რეალური ან გამოგონილი პერსონაჟი/პერსონაჟები, მათი დამოკიდებულებები თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი — გამოხატული როგორც ლოგიკურ მსჯელობაში, ასევე დიალოგებში ან მხატვრულ-ალეგორიული სახეების მეშვეობით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი).**

რესურსი 1. დამატებითი ამოცანები (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 132).
რესურსი 2. „მგზავრის წერილებში“ წარმოჩენილი პრობლემების სქემა.

პრობლემები	**გადაწყვეტის გზა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**	**მკითხველის კომენტარი**

რესურსი 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების სქემა.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (მხატვრული ხერხები, ენობრივი ფიგურები, ინტერტექსტუალური მიმართებები (ციტატა), სატირა, სხვადასხვა ტიპის სინტაქსური კონსტრუქციები, გამოყენებული თხრობის, აღწერის, მსჯელობისას, რიტორიკის ელემენტები — რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა და ა.შ.)	**ავტორის სათქმელი**	**მკითხველის კომენტარი**

აქტივობა 1. მუშაობა დამატებით ამოცანებზე.
აქტივობა 2. მუშაობა „მგზავრის წერილებში“ წარმოჩენილ პრობლემებზე.
აქტივობა 3.მუშაობა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე.
აქტივობა 4. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	**მუშაობა დამატებით ამოცანებზე.** • რა ფიქრები ეძალება მგზავრს, რა პრობლემებს წამოჭრის იგი და რა გადაწყვეტის გზებს სთავაზობს თანამედროვეებს? (მუშაობა სქემაზე) • რა დანიშნულება აქვს ბუნების სურათების აღწერას „მგზავრის წერილებში“, როგორ აისახება და მოდიფიცირდება ლანდშაფტი მოგზაურის ფიქრებში (თერგი და მყინვარი; „მობანე კლდეები“ და რუსეთისაკენ პირშექცეული თერგი; მთა და ბარი-მაძღარი და მშიერი ქვეყანა და ა.შ.)? • ვინ არიან „მგზავრის წერილების“ პერსონაჟები და ავტორის რა სათქმელის გამომხატველია თითოეული მათგანი? • რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს ავტორი ბუნებისა თუ პერსონაჟთა პორტრეტებისა და ქცევის აღწერისას? • რომელ ეპიზოდებში და რა სათქმელისთვის იყენებს ილია სატირას, როგორც სინამდვილის ასახვის ლიტერატურულ ხერხს? • რატომ მოიხმობს ავტორი ფრაზებს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებიდან? • როგორ გამოიყენებთ შევსებულ სქემებს დავალებაზე მუშაობისას?

		• საქართველოს რომელ მხარეს აირჩევთ თქვენი „მგზავრის წერილებისათვის“? • როგორ აღწერთ ადგილებს, სადაც მოგიწევთ მოგზაურობა? • ვინ იქნებიან თქვენი ჩანაწერების პერსონაჟები, რეალური თუ გამოგონილი ადამიანები? • როგორ წარმოაჩენთ თანამედროვეობისთვის საჭირბოროტო პრობლემებს, მსჯელობის, დიალოგებისა და ალეგორიული სახე-სიმბოლოების მეშვეობით? • როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა დავალების თავდაპირველი ვარიანტი? • რამდენად და როგორ წარმოვაჩინე ნაშრომში ჩემი ცოდნა ილიას „მგზავრის წერილებისა“? • რამდენად საინტერესოდ გადმოვეცი/აღვწერე ჩემი „მოგზაურობის“ ადგილები? რა სიმბოლური მნიშვნელობისაა ეს ადგილები ჩემს ნაშრომში, რა სათქმელისთვის გამოვიყენე მათი აღწერა? • რა ფუნქცია აქვთ პერსონაჟებს ჩემს ტექსტში? • თანამედროვეობის რომელ მტკივნეულ პრობლემებზე გავამახვილე ყურადღება? • რამდენად გამოვიყენე სატირა, როგორც ლიტერატურული ხერხი ჩემს ნაშრომში? • როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო „ჩანაწერების“ თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? • როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N7**
სამიზნე ცნება — **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: (ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება —** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; საორგანიზაციო ყალიბი; ლექსიკა, სტილი, რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი** — ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „კაცია-ადამიანი?!“ როგორც რეალისტური ნაწარმოები.“ **ქვესაკითხი** — ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე „კაცია-ადამიანი?!“დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახული თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია; პერსონაჟები, მათი სახასიათო ნიშნები, ფასეულობები, ურთიერთობები; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; განხილულ ტექსტში ასახული მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები — სატირა; ეპითეტი, შედარება, მეტაფორა; რიტორიკული მიმართვა; ლიტერატურული კონტექსტი — კრიტიკული რეალიზმი; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავწერო ესე, რომელშიც გავაანალიზებ ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „კაცია-ადამიანი?!“ როგორც რეალისტური მეთოდით შექმნილ ნაწარმოებს? როგორ გამოვკვეთო ტექსტში კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ნიშნები? როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები ჩემი მოსაზრებების დასასაბუთებლად? **კომპლექსური დავალება** დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „კაცია-ადამიანი?!“ როგორც რეალისტური ნაწარმოები.“ თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების	- კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ნიშნები **(კონტექსტი);** - როგორ აღწერს ილია გარემოს, რომელშიც მისი პერონაჟები ცხოვრობენ, რამდენად ტიპურია იგი **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - როგორ გამოიყურებიან, რას საქმიანობენ, რა ურთიერთობები, რა შეხედულებები/ფასეულობები აქვთ მოთხრობის პერსონაჟებს, როგორ შეისხა ხორცი მწერლის სათქმელმა ამ პერსონაჟების მეშვეობით — კონკრეტული პასაჟების დამოწმებით **(კომპოზიცია);** - რამდენად წარმოჩნდა ტექსტში თათქარიძეობა, როგორც ზოგადქართული მოვლენა და რამდენად აქტუალურია ის დღეს **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- თქვენ უკვე გაეცანით ილიას მოღვაწეობას, შეისწავლეთ მისი არაერთი ნაწარმოები. ასევე იცნობთ ნაწყვეტებს მისი მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“ როგორ ფიქრობთ, საზოგადოების როგორმა მდგომარეობამ განაპირობა ამ ნაწარმოების დაწერა?
- თქვენთვის ცნობილ თავებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ამ ნაწარმოებში ილიამ სინამდვილის ასახვის რეალისტური მეთოდი გამოიყენა? პასუხი დაასაბუთეთ.

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ნიშნები **(კონტექსტი);** როგორ აღწერს ილია გარემოს, რომელშიც მისი პერონაჟები ცხოვრობენ, რამდენად ტიპურია იგი **(კომპოზიცია, კონტექსტი);** როგორ გამოიყურებიან, რას საქმიანობენ, რა ურთიერთობები, რა შეხედულებები/ფასეულობები აქვთ მოთხრობის პერსონაჟებს, როგორ შეისხა ხორცი მწერლის სათქმელმა ამ პერსონაჟების მეშვეობით -კონკრეტული პასაჟების დამოწმებით **(კომპოზიცია);**
რამდენად წარმოჩნდა ტექსტში თათქარიძეობა, როგორც ზოგადქართული მოვლენა და რამდენად აქტუალურია ის დღეს **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

რესურსი 1. რეალიზმი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 111-114).

რესურსი 2. ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“(იხ. სახელმძღვანელო, გვ. 144-191).

რესურსი 3. ზეპირი მეტყველება (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 191).

რესურსი 4. თათქარიძეობის მახასიათებლების სქემა.

თათქარიძეობის მახასიათებლები	**დამადასტურებელი ადგილი ტექსტიდან**	**განზოგადება/ტიპურობა**	**მკითხველის კომენტარი**
სიზარმაცე			
ცრუსაქმიანობა			
თვითკმაყოფილება			
ტრაბახი			
თავის მოტყუება			
შემგუებლობა			
თვალთმაქცობა და პირფერობა			
ღორმუცელობა			
უნაყოფობა			

აქტივობა 1. თეორიული მასალის გახსენება — რეალიზმი.
აქტივობა 2. ტექტის შესწავლა-დამუშავება.

აქტივობა 3. ზეპირმეტველების რუბრიკაში მოცემულ დავალებებზე მუშაობა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ სინამდვილის ასახვის რომელ მეთოდს უჭერდნენ მხარს რეალისტები? ▯ როგორ იქმნება *ტიპი,* ზოგადი სახე ? ▯ რა იგულისხმებოდა ტიპურ გარემოში? ▯ როგორაა შესაძლებელი საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარება, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა აზრით? ▯ რა როლი აკისრია პიროვნებას საზოგადოების გაჯანსაღებაში? ▯ როგორ უნდა წარმოიშვას/აღიზარდოს გარემოზე ამაღლებული პიროვნება? ▯ ჩამოაყალიბეთ რეალიზმის ნიშნები. ▯ ტექსტის გააზრება-დამუშავება კითხვებზე დაყრდნობით ▯ გაიხსენეთ გიორგი ერისთავის „გაყრა“. პიესის პერსონაჟთაგან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ ლუარსაბის „წინაპრად“? პასუხი დაასაბუთეთ. ▯ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ „გაყრაში“ უკვე იკვეთება რეალიზმის მახასიათებლები? პასუხი დაასაბუთეთ. *შენიშვნა: ტექსტის ნაწილებზე მუშაობისას მასწავლებელი გეგმავს და ახორციელებს კლასში **მიმდინარე** დავალებებს იმის შესაბამისად, რა საკითხს/პრობლემას წამოჭრის ესა თუ ის მონაკვეთი, რაც, საბოლოო ჯამში, კომპლექსური დავალების შესრულებას შეუწყობს ხელს.* ▯ ზეპირმეტყველების დავალებების შესრულება-სქემაზე მუშაობა. ▯ რამდენად და როგორ დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა და თქვენ მიერ შევსებული სქემა ნაშრომზე მუშაობისას?	

ნაბიჯი 2. რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

რესურსი 1. კრიტიკული რეალიზმის მახასიათებლები და ტექსტი — სქემა.

კრიტიკული რეალიზმის მახასიათებლები	**ადგილები ტექსტიდან**	**მკითხველის კომენტარი**

რესურსი 2. ტექსტში წარმოჩენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები — სქემა.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები	**ადგილები ტექსტიდან**	**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფუნქცია — მკითხველის კომენტარი**

აქტივობა 1. მუშაობა სქემებზე.
აქტივობა 2. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ კრიტიკული რეალიზმის რომელი ნიშნები წარმოჩნდა ნაწარმოებში? — სქემაზე მუშაობა. ▯ რომელი ენობრივ-გამომსახველობითი ხერხებია გამოყენებული ნაწარმოებში და რა ფუნქციით? — სქემაზე მუშაობა. *შენიშვნა: მატრიცაში მოცემულ სქემებზე მუშაობა სასურველია ტექსტის შესწავლის პროცესის თანმდევი იყოს.* ▯ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ნაწარმოებში ნაჩვენები გამოსავალი იმ სავალალო ყოფიდან, რომელიც აღწერა ავტორმა? პასუხი დაასაბუთეთ. ▯ თქვენი აზრით, ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემათაგან რომელი დარჩა დღესაც უცვლელად/მოუგვარებელი?
	▯ როგორ გამოიყენებთ სქემებს ესეზე მუშაობისას? ▯ რის შესახებ ისაუბრებთ ესეს შესავალ ნაწილში? ▯ რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? ▯ რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში? ▯ როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა ანალიტიკური ესეს თავდაპირველი ვარიანტი? ▯ რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში ჩემი ცოდნა რეალიზმის, როგორც მიმდინარეობის შესახებ? ▯ სრულყოფილად გავაანალიზე თუ არა ესეში „კაცია -ადამიანში?!“ წარმოჩენილი კრიტიკული რეალიზმის ძირითადი მახასიათებლები?

	- რამდენად სრულყოფილად ავსახე ნაშრომში თათქარიძეობა, როგორც ზოგადქართული მოვლენა და საკუთარი დამოკიდებულება ილიას შეხედულებებისადმი? - რამდენად გავამახვილე ყურადღება ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებსა და მათ ფუნქციაზე ტექსტში? - გამოვხატე თუ არა ჩემი მოსაზრებები ტექსტში წამოჭრილ პრობლემებზე თანამედროვეობის კონტექსტში? - გამომდინარეობს თუ არა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო ესეს თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N8**
სამიზნე ცნება — **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება —** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; საორგანიზაციო ყალიბი; ლექსიკა, სტილი, რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** პრობლემაზე ორიენტირებული ესეს დაწერა თემაზე : „ჩატეხილი ხიდი“ ანუ გაუცხოების პრობლემა დღევანდელ საზოგადოებაში“. **ქვესაკითხი —** ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივი“ თემა, იდეა, პრობლემატიკა, ავტორისეული პოზიცია; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტი — თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავწერო ესე, რომელშიც გავაანალიზებ ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ წამოჭრილ გაუცხოების პრობლემას თანამედროვე კონტექსტში? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ჩემი მოსაზრებების დასასაბუთებლად, მკითხველის დასარწმუნებლად? **კომპლექსური დავალება** დაწერეთ პრობლემაზე ორიენტირებული ესე თემაზე: „ჩატეხილი ხიდი“ ანუ გაუცხოების პრობლემა დღევანდელ საზოგადოებაში“. აკაკი ბაქრაძის აზრით, „ოთარაანთ ქვრივში“ ილიამ დაგვანახა „ჩატეხილი ხიდის“ ანუ გაუცხოებისა და უკონტაქტობის პრობლემა არა მხოლოდ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას, არამედ ადამიანსა და ადამიანს, ადამიანსა და საზოგადოებას შორის. თქვენს ესეში უნდა ისაუბროთ იმის თაობაზე, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა ჩვენს დღევანდელობაში. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ნამუშევარი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის,	- როგორ აისახა „ოთარაანთ ქვრივში“ „ჩატეხილი ხიდის“ ანუ გაუცხოების პრობლემა ადამიანებს, ადამიანსა და საზოგადოებას, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს, საზოგადოების რომელ ფენებსა და ადამიანთა რა კატეგორიებს შორის შეინიშნება გაუცხოება. როგორ გამოიხატება ის და რა გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - რა არის, თქვენი აზრით, ამ გაუცხოების მიზეზი და შესაძლებელია თუ არა ამ პრობლემის მოგვარება **(კომპოზიცია, კონტექსტი);** - საკუთარი აზრის ეფექტიანად და დამაჯერებლად გადმოცემისათვის აუცილებელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისცოდნამნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	

კონტექსტი 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება გამოიწვიოს გაუცხოება ადამიანთა შორის?
- თუ წაგიკითხავთ/გინახავთ ამ თემაზე შექმნილი რაიმე ნაწარმოები/ფილმი? თქვენი აზრით, როგორ შეიძლება, ან საერთოდ შესაძლებელია თუ არა ამ პრობლემის მოგვარება?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. როგორ აისახა „ოთარაანთ ქვრივში“ „ჩატეხილი ხიდის“ ანუ გაუცხოების პრობლემა ადამიანებს, ადამიანსა და საზოგადოებას, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

რესურსი 1. ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“(იხ. სახელმძღვანელო, გვ. 193-248).

აქტივობა 1. ტექტსის გაგება-გააზრებაზე მუშაობა თანდართული კითხვებია საშუალებით.

აქტივობა 2. ზეპირმეტველების რუბრიკაში მოცემულ დავალებებზე მუშაობა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	- მუშაობა სახელმძღვანელოში თანდართულ კითხვებზე. - რატომ არ არქმევს კონკრეტულ სახელს ავტორი ოთარაანთ ქვრივის სოფელს, რატომ არ ანიჭებს ამას მნიშვნელობას („...რომელსაც თუნდა წაბლიანს დავარქმევ“...)? როგორ ახსნით ამ ფაქტს კრიტიკული რეალიზმის მახასიათებლებზე დაყრდნობით? - რამდენად ესმის და იცნობს სოფელი ქვრივს პირველი თავის მიხედვით? - გაიხსენეთ აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ დედის დამოკიდებულება შვილებისადმი, მისი აღზრდის მეთოდები. იმსჯელეთ, რითი ჰგავს ისინი ამ მოთხრობაში წაკითხულს, რა დასკვნის საშუალებას იძლევა ეს ფაქტები, კერძო შემთხვევებია აღზრდისადმი ამგვარი მიდგომა თუ იმდროინდელი შეხედულება? *(შენიშვნა: შესაძლოა, ამ კითხვაზე პასუხი მოსწავლეებს წერილობითაც მიეცეთ შინ, როგორც მიმდინარე დავალება)*

	- რამდენად ესმის სოფელს გიორგისა (ომარაშვილისა და ბეჟანიშვილის მოჯამაგირეების ამბები, არჩილის ცხენის ამბავი...)? როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ უგებს ყველა მას? - არჩილმა ოთარაანთ ქვრივის „ბრძენობა“ აღიარა, მაგრამ რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ამ და-ძმას ესმის მისი? — პასუხი დაასაბუთეთ. - ვის შეხვედრას გახსენებთ (სხვა ნაწარმოებიდან) კესოსა და გიორგის პირისპირ პირველი შეხვედრა და როგორ შეაფასა ილიამ იმ შეხვედრის აღწერა? - რა არის თავადებსა და გლეხებს შორის ხიდჩატეხილობის, გაუცხოების მიზეზები? - რა გამოსავალს ხედავს არჩილი აქედან? ეთანხმებით თუ არა მას? - რა ფუნქცია აკისრია სოსია მეწისქვილეს ნაწარმოებში და როგორ „ეწერება“ მისი სახე ტექსტში წამოჭრილ ხიდჩატეხილობის/გაუცხოების პრობლემაში? *შენიშვნა: მიმდინარე წერითი დავალება — სოსია მეწისქვილის სახე* - ჩამოთვალეთ/ჩამოწერეთ ყველა პერსონაჟი, რომელთა მიმართაც შეიძლება ვილაპარაკოთ გაუცხოების პრობლემაზე. ახსენით მიზეზები თითოეული მათგანის შემთხვევაში. - გვთავაზობს თუ არა მწერალი გამოსავალს ამ „წყევლაკრულვიანი“ პრობლემიდან? პასუხი დაასაბუთეთ. - როგორ ფიქრობთ, გადაიჭრა თუ არა გაუცხოების პრობლემის ის შემთხვევები, რომლებიც ილიას ამ ნაწარმოებშია დასმული დღეს, ჩვენს თანამედროვეობაში? პასუხი დაასაბუთეთ. - ზეპირმეტყველების დავალებების შესრულება - რამდენად და როგორ დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა და თქვენ მიერ გაწეული მუშაობა დავალების შესრულებისას?	

ნაბიჯი 2. რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს, საზოგადოების რომელ ფენებსა და ადამიანთა რა კატეგორიებს შორის შეინიშნება გაუცხოება. როგორ გამოიხატება ის და რა გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე **(კომპოზიცია, კონტექსტი);** რა არის, თქვენი აზრით, ამ გაუცხოების მიზეზი და შესაძლებელია თუ არა ამ პრობლემის მოგვარება **(კომპოზიცია, კონტექსტი);** საკუთარი აზრის ეფექტიანად და დამაჯერებლად გადმოცემისათვის აუცილებელი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები).**

რესურსი 1. ვოდეორგოლი გაუცხოების შესახებ - https://www.youtube.com/watch?v=ih7snOw02R8.
რესურსი 2. გაუცხოების ტიპები.

გაუცხოების ტიპები	**მაგალითები (წაკითხულიდან,ნანახიდან, მოსმენილიდან...)**	**კომენტარი/შეფასება**
საკუთარ თავთან		
თაობათა შორის		
ეკოლოგიური(ბუნებასთან გაუცხოება)		
ვირტუალური		
რელიგიური...		

აქტივობა 1. ვიდეორგოლის ნახვა, სტატიის გაცნობა — მინიდისკუსია.
აქტივობა 2. თანამეროვეობაში გაუცხოების შემთხვევების თავმოყრა-კლასიფიკაცია.
აქტივობა 3. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	☐ რა მოვლენაა გაუცხოება და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები? ☐ გაუცხოების რომელ ტიპზეა ლაპარაკი ვიდეორგოლში? ☐ რითია ახსნილი გაუცხოების მიზეზები? ☐ მინიდისკუსია — იმსჯელეთ გაუცხოების თქვენთვის ცნობილ მაგალითებზე. როგორ ხედავთ პრობლემის გადაჭრის გზას? ☐ გაუცხოების ტიპებზე მუშაობა/თავმოყრა-სქემის შევსება. ☐ რამდენად და როგორ გამოგადგებათ გაწეული მუშაობა, თქვენ მიერ შევსებული სქემა დავალების შესრულებისას? ☐ რის შესახებ ისაუბრებთ ესეს შესავალ ნაწილში? ☐ რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? ☐ რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში? ☐ როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა პრობლემაზე ორიენტირებული ესეს თავდაპირველი ვარიანტი? ☐ რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში ჩემი ცოდნა ტექსტში წამოჭრილი პრობლემის შესახებ? ☐ სრულყოფილად გავაანალიზე თუ არა ესეში პრობლემის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები? ☐ რამდენად გამოვიყენე ენობრივ-გამომსახველობით საშუალებები საკუთარი მოსაზრებების დასასაბუთებლად?
	☐ გამოვხატე თუ არა ჩემი მოსაზრებები ტექსტში წამოჭრილ პრობლემებზე თანამედროვეობის კონტექსტში? ☐ გამომდინარეობს თუ არა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? ☐ როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო ესეს თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? ☐ როგორ წარვადგინო ნაშრომი?

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N9**
სამიზნე ცნება — **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება —** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; საორგანიზაციო ყალიბი; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** გამოხმაურების დაწერა აკაკი წერეთლის პოემაზე „გამზრდელი“. **ქვესაკითხი —** აკაკი წერეთლის პოემაზე „გამზრდელი“ დაწერილ გამოხმაურებაში ასახული თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია, პერსონაჟები, მათი მახასიათებლები, ფასეულობები; ტექსტში წამოჭრილი პრობლემა თანამედროვეობის კონტექსტში. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ წარმოვაჩინო გამოხმაურებაში საკუთარი დამოკიდებულებები და შთაბეჭდილებები პერსონაჟების, ავტორის სათქმელისა და ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემის მიმართ? **კომპლექსური დავალება** დაწერეთ გამოხმაურება, რომელშიც გადმოსცემთ თქვენს მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს აკაკი წერეთლის პოემაზე „გამზრდელი“. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.
სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე.	

კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით.	☐ რა არის აკაკი წერეთლის პოემის მთავარი სათქმელი, სად, პოემის რომელ ნაწილში იკვეთება ეს სათქმელი განსაკუთრებით (**კომპოზიცია**); ☐ ვინ არიან პოემის მთავარი პერსონაჟები. თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟებისადმი, მათი რომელი საქციელი მოგწონთ და რატომ; როგორ აისახა მათ საქციელში პოემის მთავარი სათქმელი (**კომპოზიცია**); ☐ რაზე დაგაფიქრათ, რა გამოცდილება შეგძინათ პოემის წაკითხვამ **(კონტექსტი, კომპოზიცია**); ☐ ურჩევდით თუ არა თქვენს თანატოლებს ამ პოემის წაკითხვას და რატომ (**კომპოზიცია, კონტექსტი**).

2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:
  „კაც როგორც დაიბადების,
  იმაზე გამოდისაო,
  რო გაასწოროს ოსტატმა,

ფიცარ კი არ არს ხისაო“.
რამდენად ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით ამ მოსაზრებას, რა განაპირობებს ადამიანის ქცევასა და ხასიათს, აღზრდა თუ თანდაყოლილი ბუნება?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რა არის აკაკი წერეთლის პოემის მთავარი სათქმელი, სად, პოემის რომელ ნაწილში იკვეთება ეს სათქმელი განსაკუთრებით (**კომპოზიცია**); ვინ არიან პოემის მთავარი პერსონაჟები. თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟებისადმი, მათი რომელი საქციელი მოგწონთ და რატომ; როგორ აისახა მათ საქციელში პოემის მთავარი სათქმელი (**კომპოზიცია**);

რესურსი 1. აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 280-286).

რესურსი 2. ტექსტსა და პერსონაჟებზე მუშაობი სქემა.

ეპიზოდი	პერსონაჟის ქმედება	მკითხველის კომენტარი

აქტივობა 1. ტექტის შესწავლა-დამუშავება სახელმძღვანელოს კითხვებზე დაყრდნობით.
აქტივობა 2. მუშაობა პერსონაჟებზე.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ტექსტის გააზრება-დამუშავება კითხვებზე დაყრდნობით. ▯ მუშაობა სქემაზე: რითი ამართლებს ბათუ ძუძუმტის „უკადრის“ საქციელს, ანუ როგორია მისი შეხედულება სიყვარულზე? ▯ ცოტა ქვემოთ ბათუ იმავეს ამბობს მეგობრობაზეც, როგორ ახასიათებს ეს დეტალები პერსონაჟს? ▯ როგორ დაახასიათებდით საფარ-ბეგს? — კონკრეტული პასაჟების მოხმობით. ▯ რამდენად შესაძლებელია თქმა იმისა, რომ საფარ-ბეგს უყვარს ზია-ხანუმი?პასუხი დაასაბუთეთ. ▯ საფარ-ბეგისაგან დანაშაულის აღიარების ეპიზოდს აკაკი ბაქრაძე ამგვარად აფასებს: *„ერთი შეხედვით, უმაღლესი ზნეობით აღჭურვილმა ბათუმ დაჯაბნა საფარ-ბეგი, მორალურად გაანადგურა იგი. მაგრამ აკაკი წერეთელი გვიამბობს არა სინდისიანისა და უნამუსოს ბრძოლაზე, არამედ ადამიანში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიას. საფარ-ბეგი ტოლს არ უდებს ბათუს...აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშვინვიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი და მეორეს – არა. საფარ-ბეგმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და თავადვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი: მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი მორჩილად, არამედ – გამზრდელისაც. საფარმა ჰაჯი-უსუბს ალალად უამბო ყველაფერი, დაუმალავად და შეულამაზებლად“...* — იმსჯელეთ, რამდენად ეთანხმებით კრიტიკოსის ამ მოსაზრებას, თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით. ▯ როგორ ახასიათებს ჰაჯი-უსუბს ავტორი? ▯ რატომ აგზავნის ბათუ ძუძუმტეს ჰაჯი-უსუბთან? შეიძლება ითქვას თუ არა, რომ, ავტორის აზრით, გაზრდილი თავის ყველა საქციელზე გამზრდელის წინაშეა პასუხისმგებელი (გაიხსენეთ, ვის მიუძღვნა აკაკიმ პოემა)? ▯ აკაკი ბაქრაძე წერს: *„საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თავისი თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და, ერთი შეხედვით, უცნაური და მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა... თავი მოიკლა. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ ჰაჯი-უსუბს გამოჰქონდა არა იურიდიული, არამედ*	

ზნეობრივი განაჩენი, გასაგები გახდება მისი საქციელის სიმართლე და სისწორე. როგორც ვნახეთ, საფარ-ბეგის დანაშაულის საფუძველი ჰაჯი-უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი-უსუბი საფარის გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორის კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის. ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი...ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ –სიკვდილშიაც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე ალბათ ცხოვრებით. წარსულმა (ჰაჯი-უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

— რამდენად ეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას?

- ჰაჯი-უსუბს პირველად ბათუ ახსენებს, თავად კი ოთხთავიანი პოემის მხოლოდ ბოლო თავში გამოჩნდება, როგორც პერსონაჟი მაშინ, როცა თვითონ ნაწარმოებს სათაურად მისი სახელი — „გამზრდელი“ — ჰქვია. რაზე მიგვანიშნებს ამითი პოეტი?
- რატომ მიუძღვნა აკაკიმ პოემა პედაგოგებს, ან რატომ უწოდა „ნამდვილი ამბავი“? რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რომელ პერსონაჟს უკავშირდება იგი?
- რამდენად და როგორ დაგეხმარებათ პერსონაჟებსა და მწერლის სათქმელზე დაკვირვება, თქვენ მიერ შევსებული სქემა ნაშრომზე მუშაობისას?

ნაბიჯი 2. რაზე დაგაფიქრათ, რა გამოცდილება შეგძინათ პოემის წაკითხვამ (კონტექსტი, კომპოზიცია); ურჩევდით თუ არა თქვენს თანატოლებს ამ პოემის წაკითხვას და რატომ (კომპოზიცია, კონტექსტი).

რესურსი 1. ეს საინტერესოა! (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 288).

აქტივობა 1. სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გააზრება.
აქტივობა 2. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	☐ რა დადგინდა გამოკვლევებით, რა განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს? აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება შეფასდეს საფარ-ბეგის პიროვნება? ☐ რამდენად აქტუალურია, თქვენი აზრით, პოემაში წამოჭრილი საკითხი დღევანდელობისთვის? ***დავალება:*** *გაითვალისწინეთ ფსიქოლოგთა დასკვნა და წერილობით იმსჯელეთ სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხზე: პოემაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული: „... მარტო წვრთა რას იზამს,/თუ ბუნებამც არ უშველა“ და „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“. რა უფრო ძლიერია, ბუნება თუ აღზრდა?* ☐ რა მიზნით იწერება გამოხმაურება? ☐ რა არსებითი მახასიათებელები აქვს გამოხმაურებას? ☐ რის შესახებ ისაუბრებთ გამოხმაურების შესავალ ნაწილში? ☐ რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? ☐ რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში? ☐ როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა გამოხმაურების თავდაპირველი ვარიანტი?

	- რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში ავტორის მთავარი სათქმელი, პერსონაჟები და მათდამი საკუთარი დამოკიდებულება? - რამდენად გამოვხატე ჩემი მოსაზრება პოემაში წამოჭრილი საკითხისადმი თანამედროვეობის კონტექსტში? - შევძელი თუ არა თანატოლების დარწმუნება პოემის წაკითხვის საჭიროებაში? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო ესეს თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

IV ქვეთემა

ქვეთემა: ზნეობრივი არჩევანი (სახელმძღვანელოს IV თავი: ფესვებთან დაბრუნება). **საათების სავარაუდო რაოდენობა: დაახ. 40 აკად. საათი**		
ქვეთემაში გამოყენებული ტექსტები: 1. **ვაჟა-ფშაველა,** „ღამე მთაში“, „არაგვს“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „მთანი მაღალნი“, „სიმღერა“, ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, „ანდერძი“.		
	საკითხები	
სამიზნე ცნებები	**საკითხი 1.** ვაჟა-ფშაველას პოემაზე „ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „შურისძიებიდან მიტევებამდე — ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“.	**საკითხი 2.** ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ წერილობითი ანალიზი.
ჟანრი ქვეცნება: არამხატვრული, მხატვრული		**ქვესაკითხი:** ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ წერილობით ანალიზში წარმოჩენილი პოემის ჟანრული მახასიათებლები, მოსწავლის ანალიტიკური ესე.
კომპოზიცია ქვეცნება: კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები სტრუქტურა-ორგანიზება საორგანიზაციო ყალიბი	**ქვესაკითხები:** ვაჟა-ფშაველას პოემაზე „ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახული თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია; პერსონაჟები, მათი სახასიათო ნიშნები, ფასეულობები, ურთიერთობები; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.	**ქვესაკითხები:** ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ წერილობით ანალიზში წარმოჩენილი პოემის სიუჟეტური ქარგა, მეტრი, რითმა, თემა, იდეა, ავტორისეული ჩანართები; მთავარი სათქმელი, პერსონაჟები, მათი სახასიათო ნიშნები, ფასეულობები, ურთიერთობები; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ქვეცნება: მხატვრულ-გამომსახველო-ბითი ხერხები; რიტორიკის ელემენტები.	**ქვესაკითხი:** მოსწავლის ესეში — თეზისი, არგუმენტი.	**ქვესაკითხი:** ესეში ასახული პოემის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები — ეპითეტი, მეტაფორა, შედარება,გაპიროვნება, სიმბოლო, თეზისი, არგუმენტი.
კონტექსტი ქვეცნებები: სოციოკულტურული გარემო	**ქვესაკითხი:** ტექსტში წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში, მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.	**ქვესაკითხი:** ვაჟას პოემის მნიშვნელობა და აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში, მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.
	კომპლექსური დავალება 1. *ანალიტიკური ესეს დაწერა*	**კომპლექსური დავალება 2**. *ანალიტიკური ესეს დაწერა*

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N10**
სამიზნე ცნება — **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება —** კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; საორგანიზაციო ყალიბი; რიტორიკის ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** ვაჟა-ფშაველას პოემაზე „ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: „შურისძიებიდან მიტევებამდე — ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“. **ქვესაკითხი —** ვაჟა-ფშაველას პოემაზე „ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით დაწერილ ესეში ასახული თხზულების თემა, იდეა, ავტორისეული პოზიცია; პერსონაჟები, მათი სახასიათო ნიშნები, ფასეულობები, ურთიერთობები; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი; ტექსტში წამოჭრილი პრობლემის აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში. **საკვანძო შეკითხვა:** როგორ დავწერო ესე, რომელშიც წარმოვაჩენ ალუდას სულიერი განვითარების გზას ტექსტის მინიშნებებზე დაყრდნობით? როგორ, რის საფუძველზე შევძლებ ავტორის დამოკიდებულების ამოცნობას? როგორ გამოვხატო საკუთარი დამოკიდებულება პერსონაჟისა და ტექსტში წამოჭრილი პრობლემისადმი? **კომპლექსური დავალება** ვაჟა-ფშაველას პოემაზე „ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე: „შურისძიებიდან მიტევებამდე — ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“. თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი -** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.	▫ როგორ წარმოგვიდგება ალუდა ქეთელაური პოემის დასაწყისში, რითი გამოირჩევა თემის სხვა წევრებისაგან, არის თუ არა იგი თემის წესების ერთგული დამცველი **(კომპოზიცია);** ▫ სად ჩნდება პირველად ალუდას დაეჭვება თემის ცხოვრების წესში, როგორ ღრმავდება ეს ეჭვი, სად აღწევს ის კულმინაციას **(კომპოზიცია);** ▫ რითი დამთავრდა თემის (საზოგადოების) დაპირისპირება პიროვნებასთან. როგორ იკვეთება ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟებისადმი, როგორ გამოხატავს ალუდა მწერლის მთავარ სათქმელს **(კომპოზიცია);** ▫ რითია საინტერესო ალუდას სახე თქვენთვის, რა მნიშვნელობა აქვს ალუდასნაირთა მოსვლას ამქვეყნად **(კომპოზიცია, კონტექსტი)** ▫ თქვენი აზრით, რამდენად ეხმიანება ამ ნაწარმოების თემა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს **(კომპოზიცია, კონტექსტი)**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების — სიტყვების, ფრაზების — გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- „თუ სიკეთეა სულის საწყისი, ვიღას სჭირდება ამდენი სისხლი. და რატომ კვდება ადამიანი, თუ დამტკიცება უნდა სიმართლის?!“ - როგორც გახსოვთ, ამ კითხვას სვამს ოთარ ჭილაძის პოემის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ პერსონაჟი. თქვენი გამოცდილებიდან (ნანახიდან, წაკითხულიდან, გაგონილიდან) გაიხსენეთ სიმართლეს შეწირული ადამიანები და იმსჯელეთ, როდისაა შესაძლებელი (ან შესაძლებელია თუ არა საერთოდ) გაიმარჯვოს უმრავლესობის აზრსა და შეხედულებებთან დაპირისპირებულმა პიროვნებამ?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. როგორ წარმოგვიდგება ალუდა ქეთელაური პოემის დასაწყისში, რითი გამოირჩევა თემის სხვა წევრებისაგან, არის თუ არა თემის წესების ერთგული დამცველი **(კომპოზიცია);** სად ჩნდება პირველად ალუდას დაეჭვება თემის ცხოვრების წესში, როგორ ღრმავდება ეს ეჭვი, სად აღწევს ის კულმინაციას **(კომპოზიცია);** რითი დამთავრდა თემის (საზოგადოების) დაპირისპირება პიროვნებასთან. როგორ იკვეთება ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟებისადმი, როგორ გამოხატავს ალუდა მწერლის მთავარ სათქმელს **(კომპოზიცია);**

რესურსი 1. ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 314-327).

რესურსი 2. ალუდა ქეთელაური და ფშავ-ხევსურული მითოსი (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 328).

რესურსი 3. პერსონაჟზე დაკვირვების სქემა

თავები	**ალუდას მახასიათებლები (სულიერი განვითარების ეტაპები)**	**დადასტურება ტექსტიდან**	**მკითხველის კომენტარი**
I			
II			
III			
IV			
V			
VI			

აქტივობა 1. ტექტის შესწავლა-დამუშავება, ლექსიკაზე მუშაობა-სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებსა და სქოლიოებზე დაყრდნობით.

აქტივობა 2. მუშაობა დამატებით ამოცანებზე.

აქტივობა 3. პერსონაჟის სულიერი განვითარების გზაზე დაკვირვება.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ტექსტის გააზრება-დამუშავება სახელმძღვანელოს კითხვებზე დაყრდნობით ▯ პერსონაჟის დახასიათების რომელი ხერხია გამოყენებული პირველ თავში? (მუშაობა სქემის შევსებაზე) ▯ რა არის ნათქვამი ალუდაზე? გაიხსენეთ ვაჟას „კაი ყმა“, კაი ყმის რომელი თვისებები აქვს ალუდას? ▯ როგორ ფიქრობთ, ალუდას ცხენი რომ არ წაეყვანათ ქისტებს, მაინც დაედევნებოდა ქურდებს ალუდა? პასუხი დაასაბუთეთ. ▯ ილია წერდა: „რკინის კაცის თვალში ცრემლი დიდსულოვნების შვილია“. თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ალუდას ტირილი? ▯ მისთვის ჩვეულ რომელ ქმედებაზე თქვა ალუდამ უარი მუცალის სიკვდილის შემდეგ (გაიხსენეთ დასაწყისი — რითი აფასებდა მას თემი)? ▯ რა დანიშნულება აქვს ბუნების აღწერას მეორე თავის დასაწყისში? ▯ ნისლებმა „ხევები დაწირეს“, კლდის ცადახურულ შატილში მიმავალ ალუდას კი „გულით ნადენი“ შავი ნისლები დასწოლია პირს. რისი სიმბოლო შეიძლება იყოს ნისლი (შდრ. „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“)? ▯ როგორაა აღწერილი იმედას ქავი? თქვენი წარმოდგენით, როგორი იქნებოდა თვითონ ალუდას ქავი? ▯ როგორ აფასებს ალუდა თავიანთი ცხოვრების წესს? ▯ მკითხველი მეორედ „ისმენს“ ორთაბრძოლის ამბავს, ახლა უკვე პერსონაჟისაგან. რატომ მიიჩნია საჭიროდ მწერალმა გამეორება? ორთაბრძოლის რომელი დეტალები გამოტოვა ალუდამ უშიშასთან საუბრისას? რატომ? ▯ ალუდა რომ გულის კარნახით მოქმედებდა, თვითონვე ეუბნება უშიშას. რა დამადასტურებელი ფაქტია ამისი ტექსტში, გარდა მარჯვენის არმოჭრისა? ▯ რა დასკვნა გამოუტანია გმირს მომხდარიდან? რის პასუხად იმოწმებს ალუდა ღვთიშვილთა ცოდნას?	

- რატომ ტოვებს უპასუხოდ ალუდა „ახალუხალთა“ შეურაცხყოფას? როგორ გგონიათ, მუცალთან შეხვედრამდე როგორ მოიქცეოდა იგი მსგავს სიტუაციაში? რაზე მიგვანიშნებს ეს ფაქტი გმირის სულიერი განვითარების თვალსაზრისით?
- ვის სჯერა ალუდას სიმართლისა? რა არის ნათქვამი ამ პერსონაჟზე?
- მიადევნეთ თვალი მოვლენათა განვითარების კვალდაკვალ გმირის შინაგან მდგომარეობას/სულიერი განვითარების გზას და შეავსეთ სქემა.

- როგორ წარმოუდგენიათ დევები ფშავლებს?
- რად მიიჩნევა კაცის ხორცის ჭამა, დევური კანონის თანახმად?
- ვინ შეიძლება იყოს „ყმა ვინმე“ ვაჟას „დევების ქორწილიდან“?
- რას უკავშირდება სიმბოლურად კაცის ხორცის ჭამა პოემის მესამე თავში?
- თქვენი აზრით, რა ფუნქცია აკისრია სიზმარს ალუდას სულიერი განვითარების გზაზე, ანუ ჩანს თუ არა მისი არჩევანი „ლაშქრობით გაძღომასა“ და „რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი“- შორის?

მიმდინარე დავალება სახელმძღვანელოს რუბრიკიდან -ზეპირი მეტყველება (გვ.327).

- მეოთხე თავში „ვაჟკაცური რჯულის“ ცნება შემოვიდა. რა ყოფილა ვაჟკაცური რჯული და რით განსხვავდება თემის ადათ-წესებისაგან? ვის შეუძლია მისი გაგება?
- როგორ ფიქრობთ, ალუდას გადაწყვეტილება ხევსურთა ჯიბრითაა მიღებული, თუ წინამავალი მოვლენების შედეგია? კიდევ ერთხელ ჩამოთვალეთ/გაიხსენეთ ეს მოვლენები.
- რა გაგრძელება მოჰყვა სიზმარს ალუდას სულიერი ცხოვრების გზაზე, როგორ გადაწყვიტა მუცალის სულისთვის ზრუნვა?
- როგორ ესმის ჯვარ-ხატის (უფლის) მსახურება, ერთი მხრივ, ბერდიას, მეორე მხრივ, ალუდას? თქვენი აზრით, რომელია მართალი მათ შორის?

	- მინიდისკუსია: აკაკი ბაქრაძე წერს: *„ამ საქციელით... პიროვნება საზოგადოებას დაუპირისპირდა. ზნეობრივად (ალუდა) მართალია, მაგრამ მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს მის მიერ დადგენილ წეს-ჩვეულებას. ეს წეს-ჩვეულება, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, საზოგადოების ერთიანობის, სიმტკიცისა და ძლიერების საფუძველია. ამიტომ საზოგადოება ვერ დაუშვებს, რომ ყოველი პიროვნება, რარიგ ვაჟკაცი და მართალიც უნდა იყოს იგი, იქცეოდეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობილებას მოესურვება. ამგვარი თავისუფლების დროს საზოგადოების ერთიანობა-მთლიანობა დაიშლება და ქაოსი გამეფდება“.* — იმსჯელეთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას. - რას უზრახავს თემიდან მოკვეთილი ალუდა ქალებს? როგორ ახასიათებს მას ეს რეპლიკა? - როგორ გამოიხატა ალუდას პიროვნებაში მწერლის მთავარი სათქმელი? - რამდენად და როგორ დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა და თქვენ მიერ შევსებული სქემა ნაშრომზე მუშაობისას?	

ნაბიჯი 2. რითია საინტერესო ალუდას სახე თქვენთვის, რა მნიშვნელობა აქვს ალუდასნაირთა მოსვლას ამქვეყნად **(კომპოზიცია, კონტექსტი);** თქვენი აზრით, რამდენად ეხმიანება ამ ნაწარმოების თემა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს **(კომპოზიცია, კონტექსტი)**

აქტივობა 1. მუშაობის შეჯამება
აქტივობა 2. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ერთ ლექსში ვაჟა წერს: „აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა“, — ე.ი. რა დანიშნულება აქვს ალუდასნაირთა მოსვლას ამქვეყნად? ▯ ტოვებს თუ არა ვაჟა პოემაში რაიმე იმედს, რომ ოდესმე ადამიანი გაიხსენებს თავის დანიშნულებას ამქვეყნად და ამაღლდება შურზე, მტრობასა და სიძულვილზე? თუ სულიერების ეს გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იქნება ყოველთვის? ▯ ზურაბ კიკნაძე წერს: *„ამ პერიოდში (იგულისხმება XIX საუკუნე) ერთადერთი შემოქმედი ვაჟა-ფშაველაა (1862-1915), რომელმაც პატრიოტული ნაკადის გვერდით ევროპული (და ამით საკაცობრიო) თემატიკა წამოსწია წინ. ქართული საზოგადოების სამსჯავროზე მან გამოიტანა პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების, პიროვნების გარდაქმნის, ჭეშმარიტებისათვის ეული მებრძოლის თემატიკა, რითაც ქართველი პოეტი ხელს უწვდი ნორვეგიელ ჰენრიკ იბსენს. ისევე, როგორც იბსენის დრამების პერიპეტიები ნორვეგიის პროვინციულ ქალაქებსა თუ დაბებში მიმდინარეობს, ასევე ვაჟა-ფშაველას პოემის გმირები საქართველოს ერთი მიყრუებული, მაგრამ წარსულში ჰეროიკული კუთხის მკვიდრნი არიან, მაგრამ მათი ქმედების პათოსი საკაცობრიო საზრისის შემცველია. დოქტორ სტოკმანის („ხალხის მტერი“) სიტყვები, რომლებიც მან, როგორც აღმოჩენა, წარმოთქვა განდევნის წინ, „იცოდეთ, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ის არის, ვინც ყველაზე მარტოა”, ის სიტყვებია, რომლებსაც თემიდან მოკვეთილი ალუდაც (პოემა „ალუდა ქეთელაური“), იტყოდა. ამას ის არ ამბობს, მაგრამ პოემის მთელი პათოსი ამაზე მეტყველებს: მკითხველის თვალში და გულში მარტოსული ალუდა ძლიერია, გამარჯვებულია, რადგან მისია*

	მომავალი... ალუდას ნახტომმა, რომელმაც პიროვნება გაათავისუფლა მისი დამთრგუნველი აზიური საზოგადოების დესპოტიისგან, XX საუკუნეში გამოიღო ნაყოფი. “ (https://apinazhi.ge/journal/407--.html) — იმსჯელეთ მეცნიერის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისზე, ანუ რამდენად ეხმიანება ეს პოემა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს? - რის შესახებ ისაუბრებთ ესეს შესავალ ნაწილში? - რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? - რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში? - როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა ანალიტიკური ესეს თავდაპირველი ვარიანტი? - რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში პოემის ჩემეული აღქმა? - სრულყოფილად გავაანალიზე თუ არა პერსონაჟის სულიერი განვითარების ყველა ეტაპი შურისძიებიდან — მიტევებამდე? - რამდენად გამოვკვეთე მწერლის მთავარი სათქმელი პერსონაჟთან მიმართებით? - გამოვხატე თუ არა ჩემი მოსაზრებები და დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილ პრობლემებზე თანამედროვეობის კონტექსტში? - გამომდინარეობს თუ არა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო ესეს თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

გრძელვადიანი მიზანი	**შუალედური სასწავლო მიზანი N11**
სამიზნე ცნება — **ჟანრი** (შედეგები: ქართ.საშ.1,4,6,7) **კომპოზიცია** (შედეგები: ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (შედეგები: ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი:** (შედეგები: ქართ.საშ.2,5) **ქვეცნება** — მხატვრული — პოემა; არამხატვრული — ესე; კომპოზიციურ-შინაარსობრივი ელემენტები; სტრუქტურა-ორგანიზება; საორგანიზაციო ყალიბი; მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები; კონტექსტური ფაქტორები.	**საკითხი —** ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ წერილობითი ანალიზი **ქვესაკითხი —** ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ წერილობით ანალიზში წარმოჩენილი პოემის ჟანრული მახასიათებლები; სიუჟეტური ქარგა, მეტრი, რითმა, თემა, იდეა, ავტორისეული ჩანართები; მთავარი სათქმელი, პერსონაჟები, მათი სახასიათო ნიშნები, ფასეულობები, ურთიერთობები; მოსწავლის ესეს შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; თეზისი, არგუმენტი, ესეში ასახული პოემის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები — ეპითეტი, მეტაფორა, შედარება,გაპიროვნება, სიმბოლო, პოემის მნიშვნელობა და აქტუალურობა თანამედროვე კონტექსტში. **საკვანძო შეკითხვა:** რა ხერხები/სტრატეგიები გამოვიყენო ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ გასაგებად? როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები ჩემი მოსაზრებების დასასაბუთებლად? როგორ ავაგო ნამუშევარი? **კომპლექსური დავალება** დაწერეთ ანალიტიკური ესე, რომელშიც გააანალიზებთ ვაჟა-ფშაველას პოემას „სტუმარ-მასპინძელი“. თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ სათანადო მაგალითები ტექსტიდან, გაითვალისწინეთ ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმი —** **ნაშრომში წარმოაჩინეთ:**
ჟანრი 1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. **კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე** 1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის	☐ ნაწარმოებში ასახული მოქმედების დრო და ადგილი, ნაწარმოების სიუჟეტი მოკლედ, თქვენი ინტერპრეტაციებით **(ჟანრი, კომპოზიცია);** ☐ ის მიზანდასახულობა და სათქმელი, რაც პერსონაჟთა საშუალებით წარმოაჩინა მწერალმა პოემაში **(კომპოზიცია);** ☐ რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** ☐ როგორია ავტორის დამოკიდებულება თემის, პერსონაჟების მიმართ, როგორ და სად იკვეთება ავტორის ფასეულობები **(კომპოზიცია);** ☐ როგორია თქვენი დამოკიდებულება პოემისადმი, რა ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აქვს მას და რით არის აქტუალური ეს ნაწარმოები თანამედროვე მკითხველისთვის **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების გააზრებისთვის, ინტერპრეტირებისთვის. 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** 1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების - სიტყვების, ფრაზების - გამოყენებით. 2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. 3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. **კონტექსტი** 1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის,	

აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1.წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

კითხვები:

- თუ გქონიათ შემთხვევა, თქვენი სიმართლე დაგეპირისპირებინათ უმრავლესობის აზრის/გადაწყვეტილებისთვის? როგორ შეხვდა საზოგადოება თქვენს ქმედებას, შეძელით თუ არა მათი დარწმუნება? თუ — კი, როგორ?

აქტივობა 2. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

კითხვები:

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. ნაწარმოებში ასახული მოქმედების დრო და ადგილი, ნაწარმოების სიუჟეტი მოკლედ, თქვენი ინტერპრეტაციებით **(ჟანრი, კომპოზიცია);** ის მიზანდასახულობა და სათქმელი, რაც პერსონაჟთა საშუალებით წარმოაჩინა მწერალმა პოემაში **(კომპოზიცია);** როგორია ავტორის დამოკიდებულება თემის, პერსონაჟების მიმართ, როგორ და სად იკვეთება ავტორის ფასეულობები **(კომპოზიცია).**

რესურსი 1. ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი“ (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 330-348).

რესურსი 2. ეს საინტერესოა! (იხ. სახელმძღვანელო, გვ. 349).

რესურსი 3. სიუჟეტის განვითარების საფეხურები

სიუჟეტის განვითარების საფეხურები	**ტექსტის დამოწმება**	**მკითხველის კომენტარი**
ექსპოზიცია		
კვანძის შეკვრა		
მოქმედების განვითარება		
კულმინაცია		
კვანძის გახსნა		
ბოლოთქმა		

რესურსი 4. პერსონაჟზე დაკვირვების სქემა

(შენიშვნა: უკეთესი იქნება, თუ ამგვარი სქემა თითოეულ პერსონაჟზე ცალ-ცალკე გაკეთდება და შეივსება ტექსტზე მუშაობის კვალდაკვალ)

პერსონაჟები	**მახასიათებლები**	**დადასტურება ტექსტიდან/ავტორის პოზიცია**	**მკითხველის კომენტარი**
ჯოყოლა			
ზვიადაური			
აღაზა			
საზოგადოება/თემი			

აქტივობა 1. ტექტის შესწავლა-დამუშავება, ლექსიკაზე მუშაობა — სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებსა და სქოლიოებზე დაყრდნობით.
აქტივობა 2. მუშაობა სახელმძღვანელოს რუბრიკაზე — „ეს საინტერსოა!“

აქტივობა 3. დაკვირვება სიუჟეტის განვითარების საფეხურებზე.
აქტივობა 4. პერსონაჟთა მახასიათებლებზე დაკვირვება.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	▯ ტექსტის გააზრება-დამუშავება სახელმძღვანელოს კითხვებზე დაყრდნობით ▯ რა მოლოდინს ქმნის/როგორ გესმით სათაური? ▯ გამოყავით **სიუჟეტის განვითარების საფეხურები** (და გამოკვეთეთ თითოეულის დანიშნულება ტექსტში): რომელია **ექსპოზიციური** ნაწილი (მოქმედების წინარე ვითარება), რა ინფორმაციას აწვდის იგი მკითხველს, სად **იკვრება კვანძი** (ინასკვება კონფლიქტი, რომელსაც მოჰყვება მოქმედების შემდგომი განვითარება), რომელია **კულმინაცია** (ყველაზე დაძაბული ადგილი, სადაც წინააღმდეგობა უმაღლეს წერტილს აღწევს), რომელი ეპიზოდით **იხსნება კვანძი,** ანუ სრულდება კონფლიქტი და ავტორი გვიჩვენებს კონფლიქტის შემდგომ ვითარებას, რა შეიძლება ჩაითვალოს **ბოლოთქმად?** რა არის გაცხადებული ამ ეპიზოდში? — სქემის შევსება. ▯ გმირების რა პიროვნული მახასიათებლებია გამოკვეთილი მათი შეხვედრის ეპიზოდში („ვეფხისტყაოსნიდან“ ვის შეხვედრას გაგონებთ იგი? გქონიათ თუ არა შემთხვევა ცხოვრებაში, როდესაც სულიერი ნათესაობა გიგრძვნიათ უცნობ ადამიანთან პირველი შეხვედრისთანავე?) — მეორე სქემაზე მუშაობა ▯ ცოლ-ქმრის რა ურთიერთდამოკიდებულება ჩანს აღაზას გამოჩენისთანავე? ▯ როგორ გაღრმავდა გმირთა ურთიერთობა ჯოყოლას ოჯახში? („ეს ერთი ცნობა, ხვალ-ძმობა“... შდრ. „ცნობა — სულის გულისხმის-ყოფასავით“ — სულხან-საბა) ▯ რომელი ორი წესი/ტრადიცია/ადათი დაუპირისპირდა ერთმანეთს მეხუთე თავში? ▯ რომელ წესს იცავს ჯოყოლა, რა არგუმენტებით ცდილობს იგი თემის გონს მოყვანას? *მიმდინარე დავალება: წერილობით დაახასიათეთ ჯოყოლა მეხუთე თავის მიხედვით.* ▯ რა დანიშნულება აქვს ავტორისეულ ჩანართს (ლირიკულ გადახვევას) მე-6 თავის დასაწყისში?	

	- მწერლის რა დამოკიდებულება ჩანს ზვიადაურის მკვლელთა მიმართ? რომელ სიტყვაში ჩანს ეს დამოკიდებულება? - ამ „გროვას“ მწერალმა მისცა შანსი, საზოგადოებად ქცეულიყო — იპოვეთ ეს პასაჟი და იმსჯელეთ მწერლის გადაწყვეტილებაზე, კერძოდ, რატომ არ განავითარა ავტორმა ეს თემა, ანუ რატომ არ მოხდა ზვიადაურის დამსჯელთა კათარზისი (**ბერძნ. kátharsis „განწმენდა“)?** - აღაზას გლოვა, რასაკვირველია, ზვიადაურის ვაჟკაცური სიკვდილითაა განპირობებული, მაგრამ დატირებისას იგი მის გაუტეხლობაზე არ ლაპარაკობს. თამაზ ჩხენკელი ასე განმარტავს ამ პასაჟს: *„ვაჟა ადამიანური ბუნების მთელი სისავსით გვიხატავს აღაზას, მისი ამაღლების საფუძვლად მისსავე დიაცურ ბუნებას მიიჩნევს, რითაც „მორცხვი“ ასკეტიზმისაგან სავსებით თავისუფალ თვალსაზრისს ამჟღავნებს.“-იმსჯელეთ* მკვლევრის ამ მოსაზრებაზე, გამოხატეთ თქვენი თვალსაზრისი და დაასაბუთეთ. - რა დანიშნულება აქვს ლირიკულ გადახვევას მე-7 თავში? - ლექსმცოდნეობაში აღიარებულია, რომ ვაჟას პოეზიისათვის დამახასიათებელია ასტროფია. სათქმელის შესაბამისად იცვლება ლექსის რიტმი. რიტმის დინამიკურობას რითმა განსაზღვრავს (აკ.ხინთიბიძე). დააკვირდით რითმას ზვიადაურის საფლავზე დაკვლის სცენაში — ვიდრე მის სულის ამოხდომამდე. მეტყველების რომელი ნაწილებია გამოყენებული სარითმო სიტყვებად? რამდენმარცვლიანია რითმა? თხრობის როგორ ტემპს განაპირობებს იგი? კიდევ რომელი პასაჟია ამგვარივე რითმით გაწყობილი ამ თავში? - როგორი რითმითაა გაწყობილი უშუალოდ ზვიადაურის სიკვდილის სცენა („სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის...)? როგორია აქ თხრობის რიტმი, როგორ დაიხატა სტატიკური სურათი რითმის საშუალებით? - მოძებნეთ პოემაში სათქმელის შესაბამისად რიტმის მონაცვლეობის მაგალითები და იმსჯელეთ, რა სათქმელისთვის როგორ რითმას იყენებს პოეტი.	

	- რას განიცდის სასაფლაოდან შინ მიმავალი აღაზა? როგორ გესმით: „სამდურავს ეუბნებიან აღაზას გიშრის თმანიცა“ — რაზე მიგვანიშნა ავტორმა ამ ფრაზით? *მიმდინარე დავალება სახელმძღვანელოს რუბრიკიდან -ეს საინტერესოა! (გვ.349)* - როგორ აფასებენ ზვიადაურს საკუთარ თემში/სოფელში? - ვაჟა ყურადღებას არ აქცევს იმ რეალობას, რომ ზვიადაურები ბისოში კი არა, არდოტის ხეობაში სახლობენ (ისევე, როგორც ქეთელაურთა საცხოვრისი სოფელი ბისოა და არა — შატილი) — თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ეს ფაქტი (გაიხსენეთ, რომ ჩვენ არ ვიცით, რა ჰქვია ლუარსაბის სოფელს, ხოლო „ოთარაანთ ქვრივში“ ილია წერს:“იმ ვეებერთელა სოფელს, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევო...“)? - მე-10 თავში, ლირიკულ გადახვევაში პოეტი წერს: „ეს ხომ ახალი არ არის,/სისხლმა იდინოს მილითა“, — გაიხსენეთ მსგავსი პასაჟები „ალუდა ქეთელაურიდან“ და იმსჯელეთ, მწერლის სათქმელზე/დამოკიდებულებაზე. *მიმდინარე დავალება: წერილობით იმსჯელეთ აღაზას პიროვნებაზე, დაახასიათეთ იგი.* - თქვენი აზრით, რისი სიმბოლოებია ჯანღი და პირიმზე პოემის ფინალში? - მე-15 თავის გააზრების შემდეგ (იხ. სახელმძღვანელოს კითხვები), გამოკვეთეთ მწერლის მთავარი სათქმელი, როგორ უკავშირდება იგი პოემის სათაურს? *დავალება: წაიკითხეთ დანართი 1. და დანართი 2. და იმსჯელეთ მეცნიერთა თვალსაზრისებზე მე-15 თავთან მიმართებით.* - რამდენად და როგორ დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა და თქვენ მიერ შევსებული სქემები ნაშრომზე მუშაობისას?	

ნაბიჯი 2. რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით **(კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები);** როგორია თქვენი დამოკიდებულება პოემისადმი, რა ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აქვს მას და რით არის აქტუალური ეს ნაწარმოები თანამედროვე მკითხველისთვის **(კომპოზიცია, კონტექსტი).**

რესურსი 1. მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები

შენიშვნა: სასურველია, ამგვარი სქემა თითოეულ მხატვრულ ხერხზე ცალკე გაკეთდეს და შეივსოს ტექსტზე მუშაობის კვალდაკვალ.

მხატვრული ხერხი	**ციტატა ტექსტიდან**	**ფუნქცია**
ეპითეტი		
შედარება		
მეტაფორა		
სიმბოლო		
გაპიროვნება		
სხვა...		

რესურსი 2. ტექსტის ანალიზის სქემა-ჩარჩო

საკითხები, რომლებზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს ესეში	**მოკლე ჩანაწერი**
ავტორი, ნაწარმოები	
ჟანრი, ჟანრული მახასიათებლები	
სიუჟეტური ქარგა, სიუჟეტის განვითარების საფეხურები, თემა, იდეა, ავტორის სათქმელი	

პერსონაჟები, მათი მახასიათებელები, ავტორის დამოკიდებულების განსაზღვრა	
ავტორისეული ჩანართები/ლირიკული გადახვევები, მათი ფუნქცია	
სათაურის მიმართება ტექსტთან	
მკითხველის დამოკიდებულება	

აქტივობა 1. მუშაობა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე.
აქტივობა 2. იდეების გენერირება; პირველადი ვერსიის შექმნა; ნაშრომის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	**მუშაობა მხატვრულ ხერხებზე, მათი ფუნქციის განსაზღვრა, ავტორის მთავარი სათქმელის გამოკვეთა — სქემის შევსება.** - ზურაბ კიკნაძე წერდა: *„ თუ ალუდას პოემა ახალ ევროპაში იბსენის დრამების გამოძახილია, ამავე ავტორის მეორე პროგრამული პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ ევროპის სუბსტრატულ ფესვებს წვდება. აქ სოფოკლეს „ანტიგონეს“ პრობლემატიკაა თვალსაჩინო: როგორც ანტიგონე ძმის დამარხვით პიროვნულს ამარჯვებინებს ზოგადზე (უგულო სახელმწიფოზე), ჯოყოლა თავის სტუმარს იცავს შურის მაძიებელი თემისგან და ეწირება კიდეც მის დაცვას. მაგრამ*

	ჯოყოლას უპირატესობა ანტიგონეს მიმართ ის არის, რომ იგი ესარჩლება არა სისხლით ნათესავს, როგორც ანტიგონე, არა თავის სისხლსა და ხორცს, არამედ უცხოს, რომელსაც მისი ძმის სისხლი ჰმართებს. აქაც პიროვნული ძლევს ზოგადს, ტრადიციულს, რითაც იგი, ალუდასთან ერთად, ახალი ტრადიციის, პიროვნულობის პრიმატის დამფუძნებლის როლში გვევლინება. “ (https://apinazhi.ge/journal/407--.html) - გაითვალისწინეთ მეცნიერის მოსაზრება და არგუმენტირებულად იმსჯელეთ, რა ზოგადსაკაცობრიო საკითხებია წამოჭრილი „სტუმარ-მასპინძელში“. - რის შესახებ ისაუბრებთ ესეს შესავალ ნაწილში? (სქემა-ჩარჩოს შევსება) - რას შეეხება ძირითადი ნაწილი? როგორ/რაზე დაყრდნობით დაასაბუთებთ თქვენს მოსაზრებებს? - რაზე დაყრდნობით გამოიტანთ დასკვნას მესამე ნაწილში? - როგორ გამოიყენებთ შევსებულ სქემებს დავალებაზე მუშაობისას? - როგორ/რა ხერხების გამოყენებით შევქმნა ანალიტიკური ესეს თავდაპირველი ვარიანტი? - რამდენად წარმოვაჩინე ნაშრომში პოემის ჟანრული მახასიათებლები, სიუჟეტის განვითარების საფეხურები? - გამოვკვეთე თუ არა ნაწარმოების თემა, ავტორის სათქმელი როგორც თითოეულ პერსონაჟთან მიმართებით, ასევე ავტორისეულ ჩანართებში გამოხატული? - სრულყოფილად გავაანალიზე თუ არა პერსონაჟთა ხასიათები და მათი დანიშნულება ნაწარმოებში? - გამოვხატე თუ არა ჩემი მოსაზრებები და დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილ პრობლემებზე თანამედროვეობის კონტექსტში?	

	- წარმოვაჩინე თუ არა პოემის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება? - გამომდინარეობს თუ არა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი წინარე მსჯელობიდან? - როგორ, რის საფუძველზე გავაუმჯობესო ესეს თავდაპირველი ვარიანტი საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად? - როგორ წარვადგინო ნაშრომი?	

დანართი 1.

ფშავ-ხევსურული მითოლოგიის მიხედვით, „წვრილი ვარსკვლავები“, იგივე „ფშაური ოქროს ღილები“ — ერთურთის „ მოდე-მოძმენი“ ანუ და-ძმანი არიან. ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“, რომლის სათაურიც ამ საკრალური *(**sacer (sacris) წმინდა** რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული)* ხასიათის იდიომიდან მოდის, ასეთი ღამეული სურათით მთავრდება: კლდის თავზე ღამ-ღამობით იკრიბებიან ჯოყოლა, ზვიადაური და აღაზა. .. (ისინი) ღვთიშვილთა მსგავსად, ერთურთის სტუმარ-მასპინძელნი და მოდე-მოძმენი არიან. ასეთივე „მოძმე“ ანუ „ლამაზი ძმაა“ ალუდასთვის მუცალი. „ლამაზი“ მზიური ღვთაებების ეპითეტია. მუცალიცა და ალუდაც, ჯოყოლასა და ზვიადაურის მსგავსად, ღვთიშვილთა ზეციურ საუფლოში ერთიანდებიან, ვითარცა მარადიულად „ლამაზი“, ღვთაებრივი მოძმენი...

თამაზ ჩხენკელი, „მშვენიერი მძლევარი“, 1989 წ.

დანართი 2.

«სტუმარ-მასპინძლისა» და «ალუდა ქეთელაურის» საერთო თემა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტია. მაგრამ საქმე ისაა, რომ, მაგალითად, «სტუმარ-მასპინძელში» ერთმანეთს უპირისპირდება არა „კოლექტიური» და „ინდივიდუალური», არა პიროვნება და საზოგადოება (თემი), არამედ ორი კანონი სტუმარ-მასპინძლობის „წესი» (ოჯახის კანონი) და „წესი» სისხლის აღებისა (თემის კანონი). ჯოყოლა და აღაზა იცავენ ერთ წესს, ხოლო თემი მეორეს და, ცხადია, რომ (როგორც ჭეშმარიტ ტრაგედიაში), ორივე მხარე მართალია. ჩემი აზრით, ვაჟა-ფშაველას „ჰუმანისტური» ინტერპრეტაცია (რომ ვაჟა გმობს ერთა შორის შუღლსა და „გლობალურ ღირებულებებს» ამკვიდრებს; რომ „ინდივიდუალიზმი» აქ „ტოტალიტარიზმსა» და „კოლექტივიზმს» უპირისპირდება) ქრონოლოგიური პროვინციალიზმის გამოვლინებაა. ვაჟა-ფშაველას გააზრება მხოლოდ მარადიულ კონტექსტში შეიძლება...

... «სტუმარ-მასპინძელში» სამი კონფლიქტია: ჯოყოლა უპირისპირდება თემს, ანუ სტუმარ-მასპინძლობა უპირისპირდება სისხლის აღებას; აღაზასაგან ზვიადაურის დატირება ასევე, უპირისპირდება თემის კანონს, ხოლო სულ ბოლოს, ჯოყოლა ისევ უპირისპირდება თემს, რადგან „მარტო ბრძოლა» სახლის, ოჯახის, ანუ საკუთარი ღირსების დაცვაა, ხოლო თემი, ცხადია, სხვაგვარად ფიქრობს. სამივე შემთხვევაში მართალია ორივე მხარე, რადგან ორივე მხარე ოდენ ერთ „წესს», ერთ კანონს იცავს და აღასრულებს.
«სტუმარ-მასპინძელი» ტრაგიკული ნაწარმოებია, მაგრამ არ არის ტრაგედია — ესაა ეპოსი...

ჯოყოლა და ზვიადაური, ცხადია, საიქიოშიც ძმადნაფიცები არიან. ასევე, ზვიადური და აღაზა და-ძმაა საიქიოშიც. უფრო ზუსტად, სწორედ საიქიოს ეს ვიზიონი („სურათი») ამტკიცებს, რომ სტუმარ-მასპინძლობა, ძმადნაფიცობა, დის მიერ ძმის დატირება ნამდვილად მოხდა. ეს ყოველივე ჭეშმარიტია. ყველაფერი სწორია. ყოველივე ის, რაც მოხდა, სტუმარ-მასპინძლობის წესის მიხედვით მოხდა. ამიტომაც, ვიზიონი ლოკალიზებულია სივრცეში — ჩნდება სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯოყოლა მოკლეს.
მაგრამ ვიზიონს ჯანღი ეფარება —

მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ
კურუმად შავის ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერა-მწერალის წერითა.
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერ შეულოცავს მლოცავი,
არ აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა…

რა არის ეს ჯანღი? რაღა თქმა უნდა, ეს არაა ის „შავი ნისლი», რომელიც პოემის დასაწყისში როგორც „სტუმარი ცოტა ხანისა, / ხვალ სხვაგან წავა აქითა».
მაშ, რა არის ეს ჯანღი? საქმე ისაა, რომ როგორც არსებობს თემის წესი და სტუმარმასპინძლობის წესი, ასევე, არსებობს ჯანღი და პირიმზე

„მოღერებულის ყელითა». ჯანღი და პირიმზე ბუნების ორ „წესზე» მიგვითითებს. მაგრამ იმისათვის, რომ სტუმარ-მასპინძლის ფინალი და ბუნების ეს ორი წესი გავიგოთ, საჭიროა ვაჟას სხვა ტექსტის მოხმობა:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა…

ბუნების ამ ორი წესის „დიალექტიკური სინთეზი» ვაჟასთან არ ხდება, რადგანაც ეს შეუძლებელია. შესაძლებელია ოდენ შერიგება...

ზაზა შათირიშვილი, „ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი“

https://tagiweb.wordpress.com/2012/02/13/zaza-shathirishvili-vazha-fshavela-da-poeziis-sawyisi/

შენიშვნა: პოემა „ბახტრიონის“ შესწავლისას მხატვრული სახის — „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილამოხდილ ქალადა“ — ინტერპრეტაციის დროს, სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ისტორიულ კონტექსტზე და განუმარტოს მოსწავლეებს, რომ ძველ დროში თავდაუბურავი ქალის გარეთ გამოსვლა სირცხვილად ითვლებოდა. კარგი იქნება, თუ შეახსენებს მათ შესაბამის ადგილს „შუშანიკის წამებიდანაც“, სადაც ავტორი აღწერს, როგორ მოჰყავდათ შუშანიკი „უხამური და თმაგარდატევებული“, როგორც ვინმე მდაბიო.

მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები

1. აკაკი ბაქრაძე, მეცხრამეტე საუკუნე, კრებულში: აკაკი ბაქრაძე სკოლას, გვ. 71-97, თბ., 2013;
2. აკაკი ბაქრაძე, თერგდალეულები, იქვე, გვ.121-128;
3. აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ.129-189;
4. აკაკი ბაქრაზე, აკაკი წერეთელი, იქვე, გვ. 190-269;
5. აკაკი ბაქრაძე, ვაჟას მრწამსი, იქვე, გვ. 270-304;
6. თამარ ლომიძე, ქართული რომანტიზმის პოეტიკა, თბ., 2014;
7. მერაბ ღაღანიძე, ქართული რომანტიზმის ოთხი პოეტური ნიმუში, კრებულში: ლიტერატურა, კულტურა, რელიგია 2/1, თბ., 2021;
8. გერონტი ქიქოძე, რომანტიკოსების თაობა, კრებულში: ქართული ენა და ლიტერატურა, IX საუკუნის ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, გვ.4-14;
9. ვახტანგ კოტეტიშვილი, პატრიოტული რომანტიზმის დასაწყისი. პოეტი დები – ბატონიშვილები: მარიამ, თეკლე და ქეთევან, იქვე, გვ.15-17;
10. კიტა აბაშიძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 18-31;
11. აკაკი გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, იქვე, გვ. 32-56;
12. გერონტი ქიქოძე, გრიგოლ ორბელიანი, იქვე, გვ. 57-61;
13. ილია ჭავჭავაძე, სიტყვა წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე, იქვე, გვ. 62;
14. პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, იქვე, გვ.66-93;
15. რევაზ სირაძე, „სული საქმით მეტყველი“, იქვე, გვ. 176-180;
16. გრიგოლ კიკნაძე, მუდმივ ხატთა სისტემა აკაკი წერეთლის პოეზიაში, იქვე, 211-219;
17. დავით წერედიანი, ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე, იქვე, გვ. 223-229;
18. გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, იქვე, გვ.303-325;
19. გრიგოლ კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა, იქვე, გვ., 328-337;
20. თამაზ ჩხენკელი, მომავლის პოეტი, იქვე, გვ. 338-340.